№ 10. წელი წადი პირველი. ფასი ყველგან 15 კაპ

1929

# დროშა



ფოტო-შ. ფორცხვანიძის



აი როგორ ცხოვრობენ მუშები გერმანიაში: რიგში დგანან ფიჩხის საშოვნელად, რომ კარტოფილის კანი მოხარშონ. სოციალ-დემოკრატია იმის მაგიერ, რომ მუშების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე იზრუნოს, ბურჟუაზიას ეხმარება და მუშებს თოფ-ზარბაზნებით უმასპინძლდება, როგორც ეს მოხდა 1 და 2 მაისს ბერლინში.



ვინაიდან ავტომობილების რიცხვის ზრდა აბრკოლებს მიმოსვლას ქუჩაში, ბერლინში განზრახულია ავტომობილების რიცხვის შემცირება მრავალსართულიან ავტომობილების შემოღების ხარჯზე. კერძოდ, დამზადებულია სამსართულიანი მრავალადგილიანი ავტობუსი. გერმანიის ტექნიკური პრესის აზრით, ავტობუსების მხოლოდ ასეთი ტიპია მისაღები დიდ ქალაქებში მიმოსვლისათვის.



**ევგენი ლევინე** ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის მეთაური, რომელიც 10 წლის წინათ, 1919 წ. 5 ივნისს დ ა ხ ვ რ ი ტ ე ს გერმანელმა თეთრგვარდიელებმა და მენშევიკებმა. ამხ. ლევინე მოკვდა, როგორც შეჰფერის კომუნისტ-რ ე ვ ო ლ იუციონერს: ყვ ი ნ ი თ — „გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას“!



ინგლისში უკვე დ ა ი წ ყ ო ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი. კონსერვატორები, ლიბერალები, მაკდონალდის პარტია—გაბედნიერებას აღუთქვამენ ამომრჩევლებს, თუ მათ კანდიდატს მისცემენ ხმას. სურათზე—ლიბერალების ბელადი **ლოიდ-ჯორჯი** სიტყვას ამბობს არჩევნებთან დაკავშირებით.



**რობერტ პირი,** არქტიკის ცნობილი მკვლევარი, პირველად მიაღწია ჩრდ. პოლიუსს 1909 წლის 21 აპრილს. ოცი წელი შესრულდა ამ დღიდან.



**ლეონარდო და ვინჩი** გენიალური მხატვარი, ხუროთმოძღვარი, ტექნიკოსი, გარდაიცვალა 220 წლის წინათ საფრანგეთში. ლეონარდო დ ვინჩი ცნობილია არა მარტო როგორც მხატვარი (მას ეკუთვნის მსოფლიოში ცნობილი სურათები: „საიდუმლო სერობა“, „ჯიოკონდა“, „მადონნა“ და სხვ.), არამედ, აგრეთვე, როგორც თავის დროისთვის შესანიშნავი ხუროთ-მოძღვარი და ტეხნიკოსი. ცნობილია, მაგალითად, მისი ცდები ავიაციის დარგში.



**გიბსონი.** შეერთ. შტატების წარმომადგენელი განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის სესიაზე, რომელიც ბევრს ლაპარაკობდა, რომ „დროა საქმეზე გადავიდეთო“ და სინამდვილეში ამ „საქმეზე“ გადასვლით ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებსა და მათ პატარა მაჩანჩალებს გაუადვილა არა თუ განიარაღების საბჭოთა პროექტების უარყოფა, არამედ იმ უმნიშვნელო დადებითი გადაწყვეტილებების ლიკვიდაციაც, რომლებიც კომისიას ჰქონდა.



საფრანგეთის სამხედრო-ხელისუფლებამ ზღვაში ჩაუშვა ახალი 10.000 ტონიანი კრეისერი „ფოში“. სურათზე—კრეისერი „ფოში“ წყალში ჩაშვების დროს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა


# დროშა

№ 10. 1929 წ. 31 მაისი


## ძმურ ხალხთა კულტურული კავშირისათვის

### საქართველოს მწერალთა დელეგაცია ბაქოში

F749





ზევით—დელეგაცია თურქ მწერლებთან ერთად 26 კომუნარის საფლავზე ბაქოში
ქვევით—საქ. მწერალთა დელეგაცია

# საქართ. მწერალთა დელეგაცია აზერბეიჯანში

## ნიკოლო მიწიშვილი

თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ჩვენს თვალწინ გაიარა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ცხოვრების უმთავრესმა მომენტებმა. დაწყებული ა/კ. განსაკუთრებული კომიტეტით, რომელიც რევოლიუციის დაწყებისას მოავლინა თბილისში კერენსკის მთავრობამ, ამიერ-კავკასიის ხალხთა ბედმა მრავალი დრამატიული ეპიზოდი განიცადა: მესამასე ვერსი, კავკასიის ლაშქარი, სეიმის დაშლა, სამი რესპუბლიკის დაარსება, ომი ოსმალეთთან, გერმანელები, ინგლისელები, დენიკინი, ბიჩერახოვი და დესტერვილი, 26 კომუნარის ტრაგედია, ომები რესპუბლიკათა შორის და ომები თვითეულ რესპუბლიკაში, ყოველთვის გამწვავებული ეროვნული ურთიერთობა, ინტრიგები, უცხოელების კარნახი, განუწყვეტელი კინკლაობა და... ბოლოს — საბჭოები...

ა/კ. ისტორია უკანასკნელი ათიოდე წლისა მეტად საინტერესო, მეტად საგულისხმო და ჩამაფიქრებელი ამბავია; ეპოპეია, სავსე ათასნაირ ხვეულებითა და წინააღმდეგობით, მაგრამ გამართული ერთნაირი შინაგანი ლოღიკით. ყოველივე ეს ნიადაგს უმზადებდა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას მთელს ამიერ-კავკასიაში.

ასეც მოხდა და ეხლა ჩვენ უკვე მოწამე ვართ იმისა, თუ როგორ და რა საშუალებით ახორციელებს ეს ხელისუფლება ა/კ. ერთა შორის იმ პრინციპებს, რომელნიც ყოველდღიურად ითელებოდა ახლო წარსულში „ეროვნული" მთავრობების მიერ შინ და გარეთ. მე არ შევუდგები აქ იმის განხილვას, თუ რისთვის და რა მიზეზით ხდებოდა ეს, მაგრამ ფაქტი ასეთი იყო და მისი უარყოფა შეუძლებელია.

შეუძლებელია იმის უარყოფაც, რომ საბჭოების პოლიტიკა ა/კ. ერთა ცხოვრების დღევანდელ სინამდვილეში არის საუკეთესო გზა საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მშრომელ ხალხთა კულტურული და ეკონომიური აღორძინებისათვის. ეს ცხადია დღეს ჩვენთვის. და ცხადი ხდება ეს საბჭოთა სახელმწიფოს მტრებისათვისაც, მაგალითად ა/კ. დღევანდელი პოლიტიკური სიტუაცია აღიარა ერთად ერთ შესაძლებელ სინამდვილედ ისეთმა დაუნდობელმა საბჭოების მტერმაც კი ემიგრაციაში, როგორიც არის ზურაბ ავალიშვილი.

ყოველი დღე გვიმტკიცებს, რომ სიმართლე სწორედ აქაა, მაგრამ იმ დროს როცა ჩვენი პოლიტიკის ხელმძღვანელობისათვის, მუშებისა და გლეხებისათვის ეს გზა — ერთა შორის სოლიდარობისა — ნათელი და უეჭველი იყო, უპარტიო ინტელიგენციის ზოგიერთმა წრეებმა, როგორც საქართველოში, ისე მეზობელ რესპუბლიკებში, ეს ჭეშმარიტება დროზე ვერ გაითვალისწინა და სათანადოთ ვერ შეიგნო.

და ჩვენი მწერლობის, ჩვენი ინტელიგენციის შეცდომა სწორედ იმაში იყო, რომ მთლიახად დროზე არ გადაეშვა იმ საქმიანობაში, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული ქვეყნის ახალ საფუძველზე გარდაქმნა და ხალხთა შორის ჭეშმარიტი სოლიდარობის დამყარება.

არასოდეს ისე მძაფრად და აშკარად ეს დანაშაული მე არ მიგვრძნია, როგორც მწერალთა დელეგაციის ჩასვლის დროს ბაქოში. ასეთივე დანაშაული მიუძღვის ჩვენი ჭკუისა და წონის ხალხს ბაქოში და ერევანში, მაგრამ საქმე ამით, რასაკვირველია, არ იცვლება.

მწერალთა დელეგაციის ყოველი წევრისათვის ერთხელ კიდევ აშკარა გახდა ის ჭეშმარიტებმა, რომ ჩვენი ინტელიგენციის განსაზღვრული ფენების კარჩაკეტილობა ქმნიდა ყოვლად შეუწყნარებელ პირობებს ა/კ. ერთა შორის მეგობრული დამოკიდებულების დამყარების საქმეში.

პოლიტიკა და ეკონომიური ცხოვრება შეთანხმებული გზით მიდიან დღეს ამიერ-კავკასიაში. ჩვენ, ქართველ მწერლებს, სასახელოდ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ კულტურული ალიანსის ლოზუნგი და მისი პრაქტიკული განხორციელების საკითხი ამ უკანასკნელ წლებში სწორედ ჩვენ წრეებში წამოიჭრა და უკვე ორი წლის წინეთ ჟურნალ „ქართულ მწერლობა"-ში დაიბეჭდა საამისო მოწოდება.

თავის დროზე, როდესაც ჩვენ ამ საკითხს ვაყენებდით, შეიძლება არც კი გვქონდა წარმოდგენილი, თუ რამხელა საქმეში ერეოდა მწერლობა და რა დიდი იყო ამ საქმის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი წონა.

ბაქოში ჩასვლამ ჩვენ ბევრი რამ დაგვანახა.

ჩვენ დავინახეთ, რომ მართლა სირცხვილია ასე ახლოს სცხოვრობდეს ორი ერი და მჭიდრო კულტურული კავშირი მათ შორის არ სუფევდეს. ჩვენ დავრწმუნდით, რომ აზერბეიჯანში გვყოლია მეგობრები და ისეთი მეგობრები, რომელნიც ჩვენს გაჭირვებას თავის გაჭირვებათა სთვლიან და ჩვენს გამარჯვებას საკუთარ გამარჯვებათ. ბაქოში ჩვენ ვნახეთ მუშები, რომელთა ინტერესები არასოდეს არ შეეჯახება ქართველი მუშის ინტერესს, ეს მუშები ფეხზე მდგარი მიესალმებოდენ ქართულ მწერლობას, სიყვარულით გვიმართავდენ ოვაციებს და თან ენერგიულად მოითხოვდენ ჩვენგან დახმარებას იმ უდიდესი მნიშვნელობის შრომაში, რომელსაც ისინი ეწევიან დღეს პროლეტარიატის იდეალთა საბოლოო გამარჯვებისათვის.

ჩვენ ვნახეთ თუ რას აკეთებენ ბაქოში ეს მუშები. როგორ წაურთმევიათ ზღვისათვის მიწა კილომეტრიდან კილომეტრამდე და როგორ დაურჭვიათ ამ ნამდვილ მიწაზე ორასამდე ნავთის მბურღავი; როგორ დაუღარავთ ბაქო ტრამვაის ხაზებით; როგორ აუშენებიათ მუშათა ახალი ქალაქების ლამაზი შენობები; როგორ გადაუყვანიათ ამერიკულ სისტემაზე მთელი ნავთის წარმოება... სკოლები, ამბულატორიები, დასასვენებელი სახლები... ჩვენ გვანახეს სკოლა-პანსიონები, საიდანაც გამოდიან მასწავლებელი ქალები: აქ იზრდება კადრები თურქი ქალის მონობიდან განთავისუფლებისათვის. ბრძოლა, რომელიც სწარმოებს აზერბეიჯანში რელიგიის, ცრუმორწმუნეობის, დახავსებულ ზნე-ჩვეულებისა და მუსლიმანურ ადათების წინააღმდეგ, იდეოლოგიურათ, ისეთივე ინტენსიურია, როგორც წყვილი ნავთის მაძებარ ბურღისა მიწაში — 600 მეტრის სიღრმეზე.

და ვის სცალია იქ ინტელიგენტურ განწყობილებისა და ჭოჭმანისათვის? ან როგორ უნდა წარმოიშვას ასეთ პირობებში ეროვნული შუღლი და უთანხმოება? დიახ, ეს კოშმარი წარსულისა სწორედ ასეთ პირობებში ქრება და ეძლევა დავიწყებას. მაგრამ ჩვენ დავინახეთ, რომ საბჭოთა სისტემის გარეშე კვლავ წამოყოფს თავს ყოველგვარი სისაძაგლე და რასაკვირველია, ერთა შორის დაუნდობლობაც: ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი კულტურის ფრონტზე და აფეთქებას ნაჩვევი ხელი ჯერ კიდევ ნახავს აქა-იქ „ბნელ" კუთხეებს ამიერ-კავკასიაში.

სწორედ ამ სიბნელეს ებრძვიან დღეს ბაქოში და ებრძვიან სამაგალითოდ. ბაქოში ჩასვლით ქართველმა მწერლობამ სთქვა, რომ ამ ბრძოლაში ის შეასრულებს ერთ დიდ როლს, რომლის შესრულება მხოლოდ მწერლობას შეუძლია.

აზერბეიჯანის მწერლობა და კულტურული ძალები აღფრთოვანებით მიეგება ქართველი მწერლების ამ ნაბიჯს. და სიტყვები, თქმული როგორც ერთის, ისე მეორეს მხრივ ბაქოში 26 კომუნარის საფლავზე, უსათუოდ იქნება ის საზღვარი, საიდანაც აღირიცხება ახალი ხანა ამიერ-კავკ. ერთა კულტურულ ცხოვრებაში.

და როდესაც ვბრუნდებოდით ჩვენ თბილისში — გამთბარი ბაქოს მხურვალე გზით, ჩვენი მეხობლების მეგობრული შეხვედრით და გამხნევებული ბაქოს მუშების სიმტკიცითა და ნებისყოფით, — მე ვიგონებდი ამ.-კავკ. ერთა ცხოვრების მნიშვნელოვან თარიღებს ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში და ვფიქრობდი, რომ ორი ქვეყნის კულტურის წარმომადგენელთა ფიცი 26 კომუნარის საფლავზე იყო ულამაზესი სურათი, რომელიც აქამდე აკლდა საბჭოების საქმის მთლიანობას ამიერ-კავკასიაში.

ქართული მწერლობა იმედოვნებს, რომ მას მიეცემა ორგანიზაციული და მორალური საშუალებანი ამ გზით უფრო ფართოდ სიარულის და ამ პრაქტიკულ წინადადებათა განხორციელების, რომელნიც შედეგათ მოყვა ორი რესპუბლიკის კულტურულ ძალთა შეხვედრას.

**ნიკოლო მიწიშვილი**

# თეთრი ჯვრიდან წითელი დროშისკენ*)

## მაქს ჰელცი

თარგმნილი გერმანულიდან გერონტი ქიქოძის მიერ

### ქალაქის მოურავის „გასეირნება“

ამ დღეებში თავი იჩინა იმ გაბოროტებამ, რომელიც ქალაქის თავის წინაალმდეგ იყო დაგროვილი. მას დილით თვითმმართველობის შენობაზე საკუთარი ხელით ჩამოეგლიჯა პლაკატი, რომელიც უმუშევრებს მოუწოდებდა კრებაზე. ამან დიდი მღელვარება გამოიწვია; განსაკუთრებით ქალები მოითხოვდნენ, რომ მოურავს ბოდიში მოეხადა ან წინ გასძღოლოდა ხუთი ათასი უმუშევრის სადემონსტრაციო პროცესიას და ქალაქის ქუჩები შემოევლო. მან უარი სთქვა ბოდიშზე და მაშასადამე იძულებული გახდა პროცესიაში მიეღო მონაწილეობა. მარჯვნივ და მარცხნივ მხარში ორი ქალი ედგა, რათა არ გაქცეულიყო. ამრიგათ იგი საკუთარ ქალაქში სამარცხვინო ბოძზე იქნა გაკრული.

ამ გასეირნების შემდეგ ქალაქის მოურავი ტელეფონით გამოელაპარაკა დრეზდენის მთავრობას და სთხოვა დაუყოვნებლივ სამხედრო ძალა მიეშველებიათ მისთვის, რადგან ფალკენშტაინში აჯანყება და უმუშევართა საბჭოს მიერ წაქეზებული მასები ქალაქს არბევენო. გერმანიაში მაშინ საალყო წესები იყო გამოცხადებული, დემონსტრაციები აკრძალული იყო. პლაუენის პროკურატურამ ჩემს წინაალმდეგ დატუსაღების ბრძანება გამოაქვეყნა, 2000 მარკა ჰქონდა ალთქმული ვინც მე დამიჭერდა.

### იწყება ნადირობა ჩემს წინაალმდეგ

თუ როგორ სცდილობდა ამ დროს პრესის ერთი ნაწილი ყოველის ლონისძიებით და ყოველ შემთხვევაში კომუნისტების წინაალმდეგ პოგრომი მოეწყო, ამტკიცებს თუნდ „ნიურენბერგ ტაგებლატი“, რომელიც ამ ამბების გამო სწერდა:

„ფალკენშტაინერმა სპარტაკისტებმა ქალაქის ქუჩებში ათრიეს თავისი მოურავი, ციხის ქლდეზე აიყვანეს და უფსკრულში გადასჩეხეს“.

ხაძდვილათ კი სხვა არაფერი მომხდარა გარდა იმისა, რომ უმუშევართა საბჭომ ქალაქის საბჭოს უმუშევართა დახმარება მოამატებია, ხოლო ფალკენშტაინის ტყის უწყება დასთანხმდა ბაჟი დაეკლო შეშაზე.

ქალაქის მოურავმა მიაღ;ია იმას, რომ ლამით ფალკენშტაინში ჯარი, ნაწილი შემოვიდა და უმუშევართა საბჭოს წევრები დაატუსაღა. მე ვერ დამიჭირეს, მიტომ რომ მათმა ჯაშუშმა შეცდომა ჩა დინა. ქალაქის მოურავმა და სამხედრო უფროსებმა მას დაავალეს მე შუაღ-მეს დავეჭირე, როცა ლოგინში ვიქნებოდი. მაგრამ იგი იმდენათ გამოუცდელი გამოდგა, რომ მე დროზე გამელვიძა და თავს უშველე—საჩქაროთ ტანთ ჩავიცვ, ქალაქ გარეთ გავედი და მახლობელ გორაკზე ავცოცდი: დილის რიჟრაჟზე ჩემს ფეხებ ქვეშ ძოძრავი და მრავალფეროვანი სურათი გადაიშალა: ქუჩებში სამხედრო რაზმები დადიოდა და სამხედრო ბრძანების ხმები გაისმოდა. ქალაქის მოურავის მომხრეები გამარჯვებას დღესასწაულობდნენ.

დილის რვა საათზე ორმა მეგობარმა შემატყობინა, რომ მთელი უმუშევართა საბჭო დატუსაღებულიაო. ჯარისკაცებმა დაიფიცეს, არ დადავიშლებით სანამ მაქს ჰელცსაც არ დავიჭერთო. უმუშევართა საბჭოს თერთმეტი წევრი პლაუენის ციხეში გაუგზავნათ სამხედრო ავტომობილით.

### როგორ გავანთავისუფლეთ უმუშევართა საბჭო.

ამ ცნობებმა მაიძულა დაუყოვნებლივ დამეტოვებია ჩემი საძალავი ადგილი; ჩემს მეგობრებთან ერთად ქალაქში ჩავედი. მაშინვე ჩემს გარშემო თავი მოიყარა ოციოდე უმუშევარმა, ისინი აღშფოთებულნი იყვნენ ამ ვერაგი თავდასხმით. დაუყონებლივ გავემართე თვითმმართველობის შენობისაკენ, სადაც ქალაქის მოურავი, ჯარის უფროსი და ჯარისკაცების დიდი ნაწილი იყო დაბინავებული. შესავალში ტყვიის მფრქვეველები იდგა. როცა ჯარისკაცებმა დამინახეს და ჯაშუშებისაგან გაიგეს ვინც ვიყავი, იფიქრეს—ნებაყოფლობით ნოსულაო, რათა დაგვნებდესო.

მე მოვითხოვე ოფიცერი გამოსულიყო მოსალაპარაკებლად.

— რად დაგიტუსაღებიათ უმუშევართა საბჭო და საზოგადოდ რას ნიშნავს მთელი ეს ამბავი? ვკითხე მას პირქუშათ.

ცოტათი შეშფოთებულად და დარცხვენილად მიპასუხა, ცვიკაუში მაცნობეს რომ უმუშევრები ფალკენშტაინს არბევენ, ქუჩებში სროლა ასტეხეს და ფანჯრები ჩალეწესო. ვაიძულე ალეარებინა, რომ ამ ცნობაში არც ერთი სიტყვა არ იყო მართალი. მაშინ გადაჭრით მოვსთხოვე, ახლავე თქვენი ჯარითურთ აიბარგეთ ქალაქიდამ მეთქი. ოფიცერმა წაილუღლუღა, ეს შეუძლებელია, თუმცა ვხედავ, რომ ზედმეტი ვარ, მაგრამ უფლება არ მაქვს უფროსების ბრძანების გარეშე ეს ადგილი დავსტოვოო. მაშინ მე მივუბრუნდი რატუშის წინ აზვირთებულად თავმოყრილ უმუშევართა მასას და შევეკითხე, გსურთ თუ არა რომ ჯარი თუნდ კიდევ ერთი საათით დარჩეს ქალაქში მეთქი. ერთხმათ მიპასუხეს:—არა, ახლავე აიბარგონ აქედანო. ოფიცერმა შეატყო, რომ ცოტა არ იყოს მდგომარეობა მისთვის ხელსაყრელი არ იყო და ორი საათის ვადა მოითხოვა ქალაქიდან გასასვლელად. მაგრამ ეს მოკლე ვადაც კი არ მისცეს; მასამ იერიში მიიტანა რატუშაზე, უკან დაახევა ჯარისკაცებს, ხელში ჩაიგდო თოფები და და ტყვიის მფრქვეველები, მაგრამ გამწარების მიუხედავათ მაინც იმდენი გულუბრყვილობა გამოიჩინა, რომ იარაღი თვით ჯარის საბარგო ავტომობილებზე დააწყო. შემდეგ ჯარისკაცები ჩასხდნენ ამ ავტომობილებში და, როგორც ეტყობოდა, სიამოვნებით დასტოვეს ფალკენშტაინი.

ჯარის წასვლისთანავე უმუშევრებმა დაატუსაღეს ქალაქის მოურავი. იგი იძულებული გახდა ჩვენი ზედამხედველობის ქვეშ ტელეფონით გამოლაპარაკებოდა დრეზდენის მთავრობას და ინფორმაცია მიეწოდებია მდგომარეობის შესახებ. ჩვენ ვაიძულეთ ეთქვა, რომ ისიც და რამდენიმე სხვა გავლენიანი მოქალაქეც დატუსაღებული იყო და ვერ განთავისუფლდებოდნენ, სანამ მთავრობა უმუშევართა საბჭოს არ გამოუშვებდა ციხიდან. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მთავრობამ პლაუენის პროკურატურას უბრძანა საჩქაროთ გაენთავისუფლებია ჩვენი დატუსაღებული ამხანაგები.

უმუშევართა მასა, რომელიც დილის 8 საათიდან საღამოს ექვს საათამდე ქუჩებში იდგა კოკისპირულ წვიმის მიუხედავად და საქმის გათავებას უცდიდა, ენით გამოუთქმელი აღტაცებით შეხვდა განთავისუფლებულთა შემოსვლას ქალაქში.

### პროლეტარული თვითდაცვა

ამის შემდეგ რამოდენიმე კვირის განმავლობაში სიწყნარე დამყარდა ქალაქში. უმუშევართა საბჭო მთავრობის ორგანოებთან ერთად მუშაობდა, რათა სურსათი და სათბობი მასალა გაენაწილებია. ამასთანავე უმუშევართა საბჭო ყოველი ლონისძიებებით სცდილობდა მოესპო ფარული სპეკულიაცია.

უმუშევართა საბჭოს ორმა წევრმა პოლიციელების თანხლებით დაიარა იმ ფაბრიკანტების ბინები, რომელთა შესახებ ცნობები გვქონდა მიღებული, რომ ბლომათ აქვთ მომარაგებული ფარული ვაჭრობით შეძენილი სურსათსანოვაგეო. მათი მარაგი ჩამორთმეულ იქნა. იყო დღეები როცა ქალაქის რატუშაში მთელი ზვინები კეთდებოდა ჩამორთმეული ლორისმ და სხვა სანოვაგისაგან. უმუშევართა საბჭოქალაქის გაზეთში ცნობა გამოაქვეყნა, რომ და, ნიშნულ დღეებში ჯარისკაცების ქვრივებისათვის ავადმყოფებისათვის და მელოგინე ქალებისათვის განსაკუთრებული საკვები რიგდებაო; განაწილება მთავრობის ორგანოებთან შეთანხმებით ხდებოდა.

უკვე კარგა ხანია ფალკენშტაინში კარტოფილი აღარ იშოვებოდა. გვაკლდა აგრეთვე მუხუდო, ცერცვი, ქერი, ხორცეულობა და სხვა. მე მახლობელ სოფელში ერთი მილიონი მარკის სანოვაგე დაუკვეთე ფალკენშტაინის და სხვა სამრეწველო რაიონებისათვის. ამ ოპერაციის უზრუნველსაყოფათ ადგილობრივ კაპიტალისტებს მოვსთხოვე კრედიტი მიეცათ შეუძლო ქალაქებისა და თემებისათვის. ამ უკანასკნელთ სანოვაგე იაფ ფასებში უნდა მიეყიდათ დამშეულ მოსახლეობისათვის.

### სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ჯარს აგზავნის

ეს განზრახვა შეფარდებული იქნა ჯარების შემოსვლის გამო. ჩვენი თანამშრომლობა მთავრობის ორგანოებთან არ მოსწონდა არც ქალაქის მოურავს, არც ადგილობრივი სოციალ-დემოკრატების მეთაურებს, შტორლს და პელმანს: მიტომ რომ იმ პრაქტიკულმა საქმიანობამ, რომელიც უმთავრესად კომუნისტებისაგან შემდეგარმა უმუშევართა საბჭომ პროლეტარიატის საკეთილდღეოთ გააჩაღა, მრავალი მომხრე შესძინა კომუნისტურ იდეას როგორც ქალაქში ისე მის ახლო მახლო.

ამ სამმა პირმა ბოლოს მიაღწია იმას რომ დრეზდენის სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ ხელახლა ჯარი გამოაგზავნა ფალკენშტაინში.

ფოტო-შ. ფურცხვანიძის



ფრინველების გადაფრენა

*) გაგრძელება, იხ. „დროშა“ № 8, 9.

განკარგულება იყო გაცემული, უმუშევართა საბჭო უსათუოდ დაეშალათ, მისი წევრები დაეტუსაღებიათ, ხოლო მე საბოლოოდ მოვეთვინიერებინეთ. ქალაქის თავს რამდენჯერმე გაეცხადებია, მოსახლეობა ბევრათ ადვილად აიტანს გაჭირვებას, რომ ჰელცი არ ალიხიანებდესო.

სამ ივნისს ფალკენშტაინში იეგერების ათასეული შემოვიდა და მაშინვე ასიოდე ამხანაგის და მუშის ოჯახი გაჩხრიკა.

იმ სახლს, რომელშიც მე ვცხოვრობდი ასეული შემოერტყა, თოფებით და ხელით სასროლი გრანატით აღჭურვილი: მოიმიზეზეს, რომ სახურავიდან ჯარისკაცებს თოფი ესროლეთო. რასაკვირველია, ეს მტკნარი სიცრუე იყო, საზოგადოთ არც მუშებს, არც უმუშევრებს ქალაქში იარაღი არ ჰქონდათ. ნოსკეს იეგერებმა შედლული ასტეხეს ჩემი სახლის ასალებათ, ხოლო ბაღში გრანატები გაისროლეს. ოფიცერი გაიძახოდა:—ეს ვაჟბატონი უნდა გავანადგუროთ, თუნდ ამისათვის მთელი შენობის აფეთქება დ გვეჭირდესო. მე შინ არ ვყოფილვარ, ჩემმა საუცხოვო „საინფორმაციო ბიურომ“ დროზე გამაფრთხილა, მაგრამ მახლობელი გორაკიდან კარგათ ვხედავდი მთავრობის ჯარების ორომტრიალს.

თუმცა ჯარმა ფალკენშტაინში რამდენიმე კვირა დაჰყო, მაგრამ არა თუ სახლი, სახაგვე ხვრელიც არ დაუტოვებია გაუჩხრეკავი, მაინც ვერ აღმომაჩინეს. ბოლოს სასოწარკვეთილი ნაბიჯი გადასდგეს. ერთს მშვენიერ დღეს შუა ქალაქში საქორწილო ეტლი გააჩერეს; ჯარისკაცების რაზმი მივარდა ახლად ჯვარდაწერილ ქალს და მეეტლეს და დაუწყო მტკიცება ქალი გადაცმული ჰელცია, ხოლო მეეტლე მისი „ადიუტანტი“ გრუნერიო.

ასეთმა ამბებმა ჯარი იმდენად სასაცილო გახადეს, რომ ქუჩის ბიჭები გზათ მიმავალ ჯარისკაცებს ხშირად უძახოდნენ: „თქვენ ჰელცს ეძებთ? აი ჯიბეში მყავს დამალული“.

## მატარებელში ჩემ მდევრებთან ერთად

ჩემთვის აუტანელი იქნებოდა უსაქმოთ ყოფნა მთელი კვირეების განმავლობაში. მე მინდოდა მოძრაობისთვის მემუშავნა. არალეგალურალათ ხშირათ გამოვდიოდი მახლობელ დაბა-ქალაქებში საჯარო კრებაზე იქნებოდა, თუ პარტიულ სხდომაზე. ერთს დღეს პარტიულ კონფერენციას უნდა დავსწრებოდი ხემნიცში. აუერბახიდან, სადაც მაშინ ვიმალებოდი, ხემნიცში სხვანაირათ ვერ წავიდოდი თუ არ რკინისგზით. ფალკენშტაინიდან მომავალი მატარებელი ჯარისკაცებით იყო სავსე. მე მძიმე, თითქმის უნუგეშო მდგომარეობაში ჩავვარდი და მეგონა ახლა კი ვეღარ გავსხლტები მეთქი.

ერთ დიდ სადგურზე გადაჯდომა მომიხდა. სადგურზე ჯარისკაცების გუნდში მოვხვდი, ისინი იქ უნდა ჩამომხტარიყვნენ. ჩემს თანმხლებლებს ეგონათ, რომ უსათუოდ დამიჭერდნენ, მაგრამ ჯარისკაცებს აზრადაც არ მოსვლიათ, რომ ჰელცი, რომელსაც ისინი თითქმის მთელი თვის განმავლობაში გაფაციცებით ეძებდნენ, მათ შორის იმყოფებოდა. ისინი წყნარათ გაუდგნენ თავიანთ გზას, მეც ხემნიცისკენ მიმავალ მატარებელში ჩავჯექი.

21 ივნისს, შუადღის 12 საათზე, იეგერების უკანასკნელი რაზმები გაეიდნენ ფალკენშტაინიდან. პირველ საათზე მე უკვე რატუშის კიბეზე ვიდექი და რამდენიმე ათას მუშას ველაპარაკებოდი.

მაგრამ ქალაქიდან გასულ მხედრობას სათანადო ზომები ჰქონდა მიღებული. გამოჩნდა მოქალაქეების რაზმები, რომელიც თოფებითა და გრანატებით იყო შეიარაღებული და შეეცადა კრება გაეფანტა, ხოლო მე დავეტუსაღებიე. მათ სროლა ასტეხეს და მიტინგში შემოიჭრნენ. მაგრამ მუშები თავის მხრით შეტევაზე გადავიდნენ, რამდენიმე შეიარაღებული ბურჟუა დაიჭირეს, ლაზათიანათ მიბერტყეს და განაიარაღეს. დანარჩენებმა გაქცევით თავს უშველეს.

რამდენიმე დღის შემდეგ ფალკენშტაინს სამინისტროს წარმომადგენელი და გენერალი პილინგი ესტუმრნენ. იმათ მოლაპარაკება გამართეს ჯერ ქალაქის მოურავთან, ხოლო შემდეგ ჩემთან. მოითხოვეს, რომ უმუშევართა საბჭო დაუყოვნებლივ დაგვეშალა; ამას გარდა კიდევ რამდენიმე მოთხოვნილება წარმოგვიდგინეს; მაგრამ მე არ შემეძლო მათი დაკმაყოფილება. ეს მოლაპარაკება დამთავრებული არ იყო, რომ ფალკენშტაინში ხელახლა ჯარი შემოვიდა, თვითმმართველობის შენობას შემოერტყა, მთავარი მოედანი დაიჭირა, სადაც დაახლოებით ექვსი ათასი კაცი იყო თავმოყრილი, სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა და გვაუწყა, რომ არავის არაფერი დაუშავდებაო. ჯარი უკანვე დაბრუნდება, მხოლოდ მოსახლეობამ ხელი არ უნდა შეუშალოს ჰელცის დატუსაღებასო. ამის შემდეგ ჯარის უფროსმა, რომელსაც ერთი ოფიცერი ახლდა, ტყვიის-მფრქვეველით დაიკავა რატუშის კიბე, სადაც მე ვიდექი სამინისტროს წარმომადგენელსა და გენერალთან ერთად და გამომიცხადა დატუსაღებული ხარო.

იმავე წუთში ხალხი საშინელმა მღელვარებამ მოიცვა. მასის ცოცხალი კედელი დაიძრა დაუძლეველი სიძლიერით და რატუშას მიეხეთქა, ჯარისკაცები ხლუდეში მოექცნენ; თუ სროლა ატეხილიყო, ჯარისკაცები ძალაუნებურათ ერთმანეთს დახოცდნენ. ჯარის უფროსმა გაითვალისწინა მდგომარეობა და განკარგულება გასცა ჯარი სასამართლოს შენობისკენ დაეხიათ. გენერალმა და მთავრობის წარმომადგენელმაც მაშინვე იქ შეაფარეს თავი.

ჩვენ ექვსი კაცი გავგზავნეთ სასამართლოს შენობაში და მოვითხოვეთ ჯარი გაეყვანათ ქალაქიდან. გენერალმა დააკავა ეს დელეგაცია. ამ ამბის გაგონებისთანავე ეს ვეებერთელა ადამიანური ტალღა სასამართლოს შენობისკენ გაემართა და საშინელი ყვირილითა და მუქარით დატუსაღებულთა განთავისუფლება და ჯარის გაყვანა მოითხოვა.

თუმცა დატუსაღებული ამხანაგები გაანთავისუფლეს, მაგრამ უცებ შენობიდან ჯარისკაცები გამოცვივნდნენ და ჩემს დაჭერას შეეცადნენ. კინაღამ მიზანს მიაღწიეს. ფეხ და ფეხ მომდევდნენ; მაგრამ უცებ ჩემს მდევრებს მუშები გადაეღობნენ, ფეხი გამოსდვეს და მიწაზე დაანარცხეს. სხვა მუშებმა კიდევ ხელი ჩასჭიდეს და თვალის დახამხამებაზე ქალაქის გარეთ გამიყვანეს.

## არალეგალური აგიტაცია ბავარიასა და შუა გერმანიაში.

ამის შემდეგ ჩემთვის შეუძლებელი იყო ფალკენშტაინში დაბრუნება. ჯარმა დამხმარე ძალები მიიღო, ქალაქი და მახლობელი ადგილები ნამდვილ სამხედრო ბანაკს დაემსგავსა.

ერთ დღეს აუერბახში ჩემს ბინაში ორი აღელვებული ამხანაგი შემოიჭრა. მომაძახეს,—ახლავე უნდა გაჰქრე აქედან, სალამოთი აუერბახს ჯარი დაიჭერს, ჯაშუშებს შენი ბინა აღმოუჩენიათო. ამას გარდა გრძელი თმა უნდა შეიკრიჭო რადგან ამ ნიშნით გეძებენო.

მე არავითარი სურვილი არ მქონდა თმა შემეკრიჭა, მაგრამ იმაში კი დავრწმუნდი, რომ ფალკენშტაინის მახლობლად აღარ დამედგომებოდა. იმ ღამითვე ორი ამხანაგის თანხლებით ქვეითათ გზას გავუდექი ჩეხიის საზღვრისკენ, სადაც დილით მივედი გათენებისას. ამხანაგები უკან დაბრუნდნენ, ხოლო მე გზა განვაგრძე გაურკვეველი მიმართულებით. შუადღისას ისე ჩამოცხა, რომ გადავწყვიტე ჩემი თმა ბოლოს მაინც გამეკრიჭა. რომელიღაც სოფელში შევჩერდი და დალაქი მოვიკითხე. ერთი გლეხის სახლზე მიმითითეს. იქ ხნიერმა დედაკაცმა მითხრა, ჩემი ქმარი დალაქობს, მაგრამ ახლა ყანაში მუშაობსო. დაუცადე სანამ დაბრუნდებოდა. ეზოში დამსვა, თმის კრეჭა დაიწყო და ლაპარაკი გააბა: გადარეულ დროში ვცხოვრობთ, ომმა ხალხი კალაპოტიდან ამოაგდოო. ფალკენშტაინში კომუნისტები ბატონობენ, მთელ ათასეულებს ჰგზავნიან, რათა ვინმე ჰელცი დაატუსაღონო; მაგრამ იმ შეჩვენებულს ეშმაკთან უნდა ჰქონდეს კავშირი, პირდაპირ მოჩვენებასავით ჰქრებაო:

ჩემს გარშემო გრძელი თმის კულულები ეყარა. ავკრიფე, ჩემს დალაქს კონვერტი გამოვართვი, შიგ ჩავსდე და ზედ ფალკენშტაინის ჯარის უფროსის მისამართი დავსწერე. შემდეგ ხელი ჩამოვართვი ჩემს გამლამაზებელს და ვუთხარი — არ დაივიწყო დღეს შენ ჰელცი გაკრიჭე მეთქი. შიშით ხელიდან მაკრატელი გაუვარდა. ჯარის უფროსს ფალკენშტაინში ორიოდე სიტყვაც მივწერე: „აი თქვენ გრძელი თმა, ახლა მისი პატრონი ეძებეთ“.

## სოციალ-დემოკრატიის მეთაურები მაბეზღლებენ

მეორე დღეს ქალაქ ჰოფამდე მივაღწიე, ბავარიაში. ადგილობრივი მუშებისაგან გავიგონე ნასადილევს კრება შესდგება, სადაც სოციალ-დემოკრატები და რურის კაპიტალის წარმომადგენლები ილაპარაკებენ, რათა ჰოფის უმუშევრები დააჯერონ რურის ოლქში წავიდნენ სამუშაოთაო. მე მონაწილეობა მივიღე ამ [illegible]ბაზე. აქ მოსმენილმა ამბებმა მაიძულა სიტყვა ამეღო და უმუშევართათვის წინადადება მიმეცა, უწინარეს ყოვლისა ორგანიზაციულად დარაზმდით მეთქი. თქვენ ხელფასის დასაწევათ არ უნდა გამოგიყენონ რურის ოლქში, არამედ იმ პირობებში უნდა იმუშაოთ, რომელშიც ორგანიზაციულად დარაზმული მემაღაროები მუშაობენ მეთქი.

თუმცა დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატი ბლუმენტრიტი სამთამადნო კაპიტალის წარმომადგენელთან ერთად სცდილობდა დავედუმებინე, მაგრამ ამ კრებას მაინც ავარჩევინე უმუშევართა საბჭო, რომელიც იმ დღესვე შეუდგა მუშაობას. მაგრამ მეორე დღეს, როცა მე გაშლილ მოედანზე უფრო დიდი კრების წინაშე გამოვედი სალაპარაკოთ, უცებ ხალხში დამოუკიდებელი სოციალ დემოკრატების მიერ ათასობით გავრცელებულ იქნა შემდეგი პროკლამაცია:

„ნილაბახდილი მუშათა მოღალატე!

გუშინ მასიურ კრებაზე ილაპარაკა ჰელცმა ფალკენშტაინიდან, რომელიც თავის თავს მიულლერა უწოდებდა. ჰელცი მუშათა მოღალატე და უსაზიზღრესი არამზადაა. ჰელცი კაპიტალისტების მიერ მოსყიდული გარეწარია, იგი ერთი კუთხიდან მეორეში დაძრწის, რათა მუშებში აჯანყება გამოიწვიოს და შემდეგ გაჰქრეს, როცა მიზანი მიღწეულია. ჰელცი თითქო დევნილი ადამიანია, ნამდვილათ იგი ავტომობილით მოგზაურობს. გუშინ საღამოსაც ჰოფიდან ჰელცი შავათ გალაქული ავტომობილით გაბრძანდა. საიდან გაუჩნდა ჰელცს ანაზდეულათ ავტომობილი? ამ არამზადამ დირექტორ შნელლის ფალკენშტაინში აღუთქვა აეფეთქებია კრება, სადაც მუშები პირობების გაუმჯობესებას ითხოვდნენ. კიდეც შეასრულა თავის დაპირება. სამაგიეროთ დირექტორმა შნელლმა მას თავისი საკუთარი ავტომობილი გადასცა. მამაკაცებო, დედაკაცებო და ახალგაზრდებო, ეს ადამიანი თქვენ აჯანყებისკენ მოგიწოდებს, რათა შემდეგ გაჰქრეს და ნოსკეს გვარდიას გზა გაუკვალოს. ასე სურთ კაპიტალისტებს, რომელთაც იგი მოსყიდული ჰყავთ და რომელთა უსაშინელესი მტერი დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიაა. შეაფურთხეთ ეშმაკს. უმუშევართა დახმარების გადიდება მხოლოდ მუშაობით შეიძლება. ქალაქის ახალი საბჭო სამუშაოს მოგცემთ. ახლა სწყდება, უმრავლესობას მიიღებენ თუ არა სოციალისტები. გასწით წინ! აირჩიეთ ბლუმენტრიტის სია“!

ამ საზიზღარი ცილისწამების შედეგი ის იყო, რომ ერთი საათის შემდეგ, როცა კრება დამთავრდა, მე სასტუმროში დამატუსაღეს, სადაც სადილის საჭმელად შევედი. მაგრამ სასადილოში მყოფმა მუშებმა მიცნეს, ხელიდან გამომგლიჯეს პოლიციელებს და ქალაქ გარეთ გამიყვანეს. იქ ჩქარა ჩამოვიდნენ ფალკენშტაინელი ამხანაგები, რათა ფალკენშტაინში წავეყვანე, მიტომ რომ ჯარი თურმე ხელახლა სტოვებდა ამ ქალაქს.

ჩემი მოგზაურობის დროს სოციალ-დემოკრატების მეთაურებს ფალკენშტაინშიც იმავე ცილისწამებისა და დაბეზღებისათვის მიემართათ, რომელთაც მათმა მეგობრებმა მიმართეს ჰოფში: ჰელცი ბურჟუაზიის მოსყიდული აგენტიაო და სხვ. მაგრამ სრულიად მოულოდნელ შედეგებს მიაღწიეს; მუშათა საბჭოს არჩევნებში, რომელიც გასვლისთანავე მოხდა, დემოკრატებმა 167 ხმა მიიღეს, უმრავლესობის სოციალისტებმა 209, დამოუკიდებლებმა 264, ხოლო კომუნისტებმა 1303.

თუმცა სამხედრო პროკურორი მეძებდა და თუმცა ჩემს დამჭერელს მოზრდილი თანხა ჰქონდა აღთქმული, ჯერ ორი ათასი მარკა, შემდეგ ათი, ბოლოს ოცდაათი. მე მაინც ჩემი მეგობრების დახმარებით და ხან ფრიც შტურმისა ან ფრიც ვერნერის სახელით მთელი შუა გერმანია შემოვიარე, რათა პარტიის დავალებით სხვადასხვა კრებაზე გამოვსულიყავი.

## ლოინას წარმოების მუშები ჟანდარმებისაგან განთავისუფლდნენ

ლოინას წარმოებაში რვა დღე დავრჩი როგორც აგიტატორი. როცა წარმოების საბჭოს წევრებმა სოციალ-დემოკრატებმა და დამოუკიდებლებმა გაიგეს, რომ მე ჰელცი ვიყავი, მაშინვე პოლიციას დამასმინეს. მეგობრებმა გამაფრთხილეს და მირჩიეს საღამოთი აღარ მივსუ-

ლიყავი კრებაზე. მაგრამ მე ვიცოდი ადგილობრივი მუშების პოლიტიკური განწყობილება და დარწმუნებული ვიყავი ვერ მოახერხებდნენ ჩემს დაჭერას მეთქი.

როცა კრების დარბაზში შევდიოდი, ორი მეგობარი მომიახლოვდა: მათ მითხრეს, ახლავე გაჰქრი აქედან, ჟანდარმები მოდიან, შემოსავალში უკვე მათი ავტომობილი სდგას, ახლავე წაგიყვანენო ამ სიტყვების დათავებისთანავე ოვა ჟანდარმი გამოჩნდა. მე სკამზე ჩამოვჯექი, ხოლო ჩემმა ამხანაგებმა და მეგობრებმა დარბაზის კარები დაიჭირეს. მაგრამ ჟანდარმებმა მათი რაზმი გაარღვიეს და პირდაპირ ჩემსკენ გამოექანენ. ერთმა მათგანმა გამომიცხადა დატუსაღებული ხარო და მომთხოვა დაუყოვნებლივ გავყოლოდი. მე სახეზე გაოცება გამოვხატე: როგორ გეკადრებათ, ალბათ რაღაც გაუგებრობაა მეთქი. მან ჯიბეში ხელი ჩაიყო და ორდერი ამოიღო. ჩემი სურათი მაჩვენა და მითხრა: „ეს თქვენ ხართ, ნუ ჰირვეულობთ და თან გამყევით“.—რას ამბობთ, მე ფრიც შტურმი ვარ, არავითარი მსგავსება არ მაქვს ამ სურათთან, თქვენ მას არა ნაკლებ ჰგევხართ, ვიდრე მე. არავითარ შემთხვევაში არ გაგყვებით. ეს შელაპარაკება კარგა ხანს გაგრძელდა. ამასობაში ჩემი გარშემო მუშები შეჯგუფდნენ. ჟანდარმებმა საუბრის გაგრძელება ზედმეტად მიიჩნიეს და ჩემი შებოჭვა განიზრახეს. მე უცებ გავუსხლტი, სკამზე შევდექი და დავიძახე: „მუშებო, ნუ თუ ნებას მისცემთ, რომ დამიჭირონ“? საშინელი ღრიანცელი ატყდა, მარჯვნივ და მარცხნივ მუშები ჩამეჭიდნენ და გასაოცარი სისწრაფით გამიყვანეს ამ ოროზ?რიალიდან; იმავე დროს სხვებმა ჟანდარმებს დანებით რევოლვერების ბუდეები მოაჭრეს, რათა ხელი შეეშალათ სროლისთვის.

ამხანაგებმა ერთ წუთში გამაქრეს დარბაზიდ ნ. მდინარე ზაალის ნაპირას გავჩნდი. მეორე დღეს ჰალლეში წავედი და იქ დავიმალე მეგობრებთან.

### სოციალიზმის თეორიას ვეცნობი

რადგან აგიტატორული მუშაობის წარმოება შუა გერმანიაში აღარ შემეძლო, პარტიამ გადასწყვიტა სხვა პროვინციებში გავეგზავნე სამუშაოთ. მაგრამ უკანასკნელ ხანს დავრწმუნდი, რომ მაკლდა ის თეორიულ მარქსისტული განვრთნა, რომელიც აგიტატორული მუშაობის საფუძველს წარმოადგენს. ჩემი პოლიტიკური სარბიელის დასაწყისში იმდენი დრო და მოსვენება არ მქონდა, რომ წიგნები მეკითხა და თვითგანვითარებისთვის მეზრუნა. ნოემბრის რევოლიუციამდე მხოლოდ ტეხნიკურ წიგნებს ვკითხულობდი.

მე წაკითხული მქონდა კურტ ეისნერის „სახელმწიფოს დასასრული“, ვერნერ ზომბარტის „პროლეტარიატი“ და კიდევ რამდენიმე წიგნი. წინათ გაცნობილი მქონდა აგრეთვე ჰერმან გორტერის „ისტორიული მატერიალიზმი“. სწორეთ ამ უკანასკნელმა წიგნაკმა, რომელიც რამდენჯერმე გადავიკითხე მატარებლებში მოგზაურობის დროს, ან როცა ორიოდე თავისუფალ წუთს ვშოულობდი, დამარწმუნა, რომ თეორიული საფუძველი მაკლდა და დროც იყო ამ ნაკლის შესავსებათ მეზრუნა. მინდოდა უფრო ღრმათ შევჭრილიყავი მეცნიერული სოციალიზმის პრობლემებში, მშრომელთა განთავისუფლების მოძღვრებაში. ამიტომ დიდათ გამეხარდა, როცა ჰალლეს სადგურზე ამხ. ოტტო რიულლეს შევხდი, რომელსაც ერთხელ კრებაზე გავეცანი ფალკენშტაინში. ოტტო რიულლემ მიამბო, პარტიის დავალებით მუშებისა და სტუდენტებისთვის სოციალიზმის კურსს ვკითხულობ ჰანოვერის მახლობლათო. მეც ჰანოვერისკენ მივდიოდი, მინდოდა ჩემი ცოლი მენახა, იგი იქ ცხოვრობდა თავის გათხოვილ დასთან. პატარა ქალაქ ვალსროდეში, რომელიც ლიუნენბურგის ველზეა გაშენებული, მე განვლე რიულლეს ექვსკვირიანი სოციალისტური კურსი.

ოტტო რიულლეს ლექციების მოსმენამდე მეგონა, რომ პროლეტარული რევოლუცია უნდა გაკეთდეს რამდენიმე ასეული თავგანწირული ადამიანის ნებისყოფისა და გამბედაობის წყალობით მეთქი. მხოლოდ მეცნიერული სოციალიზმის გაცნობამ დამანახა, რომ რევოლიუცია იმიტომ კი არ იწყება რომ მისთვის ათასი თუ მილიონი გული ფეთქს, არამედ იმიტომ რომ კაპიტალისტური წარმოების ანარქია აუცილებლად ხდის სოციალურ გადატრიალებას.

### პირველად სატუსაღოში

კურსების დამთავრების შემდეგ ჩემს ოჯახს ვესტუმრე ჰანოვერის მახლობლათ. იქ ჟანდარმებმა დამატუსაღეს. ტყის ქოხში ვცხოვრობდი, სოფლიდან მოშორებით, გათენებისას ორი ჟანდარმი მომადგა. იმდენად დაზარბებული იყვნენ ჩემი დაჭერისთვის დანიშნულ პრემიას, რომ მაშინვე რევოლვერი მომადეს შუბლზე: ცოცხლივ გაშვება აღარ უნდოდათ. შემბოჭეს და ბურგდორფის სატუსაღოში მიმიყვანეს, ჰანოვერის მახლობლად. მითხრეს, ჩქარა პლაუენში გაგზავნით და იქ გაგასამართლებენო.

დარწმუნებული ვიყავი, რომ პლაუენის ციხიდან ადვილად ველარ დავაღწევდი თავს: ამიტომ განთავისუფლების გეგმა შევადგინე და შევეცადე ზედამხედველები გადამებირებია. უარი მითხრეს. მაშინ ჩემი ცოლის შემწეობით ჩემს ფოხტლენდელ მეგობრებს წერილი გავუგზავნე, სადაც დაწვრილებით ავსწერე ჩემი განთავისუფლების გეგმა.

ამ გეგმის თანახმად დანიშნულ დროზე ხუთი კაცი ჩამოვიდა ბურგდორფში, მათ შორის ორიოდე თავზე ხელაღებული ამხანაგი ერია; ამ ძნელი საქმის შესასრულებლად ერთი ცეცხლში გამოწრთობილი ბრაკონიერიც წამოეყვანათ თან. ღამის თორმეტ საათზე ორ ამხანაგს, ერთს კარგათ ჩაცმულს, ხოლო მეორეს სამხედროთ გამოწყობილს, მესამე უნდა მოეყვანათ, ძონძებიანი და უქოშო. ეს უკანასკნელი ვითომ მაწანწალა და ქურდი იყო, ჟანდარმერიის მიერ დაჭერილი. ორი დანარჩენი ამხანაგი ბნელ ადგილას უნდა დამალულიყო, ხიშნების მიღების მოლოდინში.

(გაგრძელება იქნება)

**მაქს ჰელცი.**

# როგორ შეხვდნენ „აღდგომას“ ბათომის ხე-ტყის ქარხნის მუშები

(წერილი ბათომიდან)



ბათომის ცენტრ. ხის დამმუშავებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ერთი ჯგუფი



იარაღ-მანქანების შეკეთება საშეფო სოფლისათვის

ბათომის საშეფო საზ-ბის საბჭო აერთიანებს 31 საშეფო უჯრედს, რომლებიც მიმაგრებული არიან სხვადასხვა სოფლებზე.

საზ-ბის ერთ-ერთმა უჯრედმა, სახელდობრ—ბათომის ცენტრალური ხე-ტყის ქარხნის საშეფო უჯრედმა, მაგალითი მისცა ყველას არა მარტო იმისი, თუ როგორ უნდა ზრუნვა სოფლისა და ქალაქის კავშირის განმტკიცებაზე, არამედ იმისიც, თუ როგორ უნდა ბრძოლა ძველ მავნე ზნე-ჩვეულებებთან.

ხუთ მაისს, იმ დროს, როცა ძველი ადათ-ჩვეულებების ერთგული ზოგიერთი მუშები „აღდგომას“ ეგებებოდნენ, ამ ქარხნის მუშები საშეფო საზ-ბის უჯრედის თაოსნობით მთელი ასი პროცენტით გამოცხადდნენ სამუშაოზე და საშეფო სოფლისათვის შეაკეთეს საჭირო იარაღ-მანქანები. ეს მუშაობა დაახლოებით 500—600 მანეთი ღირდა.

**ალ. არობელიძე.**

# ᲓᲐᲕᲔᲬᲔᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲣᲡᲬᲠᲔᲑᲗ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡ

ნ. მ—ძე

იმ დროს, როცა საბჭოთა რუსეთის მთელ სივრცეზე სამოქალაქო ომის ტალღები გორავდა, საქართველო კი ჯერ კიდევ წარმოადგენდა „დემოკრატიულ წალკოტს“, რომელსაც ქებათ-ქებას ასხამდნენ კაზურით შეზარხოშებულ მეორე ინტერნაციონალის ლიდერები. ქართველ მენშევიზმის ერთი ბურჯთაგანი, გაბრუებული ტომ შოუ — რენოდელის ქებით „ერთობის“ ფურცლებზე სერიოზულათ ამტკიცებდა, რომ საქართველოში მოიპოება ყველაფერი, რაც სოციალიზმის დასამყარებლად არის საჭირო და „საბუთებიც“ მოჰყავდა: ჩამოსთვალა საქართველოში არსებული ყველა „საწარმოები“. რა უყოთ მერე როდ აქ სარეწაოთა უმრავლესობაში მუშების რიცხვი ათს არ აღემატებოდა და ძათი $^{90}/_{100}$ კერძო პირების ხელში იყო! მენშევიკური „ეკონომიური პროგრამა“ მცირედით კმაყოფილდებოდა.


1

განა შეეძლოთ მათ, მენშევიკებს, თუ გინდ პერსპექტივაში წარმოედგინათ მუშათა კლასი, რომელიც საკუთარი ხელით საძირკველს უყრის ინდუსტრიას, სოციალისტური წყობილების ამ ქვაკუთხედს?—მენშევიკების აზრით ფაბრიკა ქარხნების აშენება ბურჟუაზიის საქმეა. როცა „ობიექტიური პირობები“ მომზადდება, სოციალიზმი, როგორც დამწიფებული ხილი, თავისით ჩაუვარდება კალთაში მუშათა კლასს,—ასე მსჯელობდნენ და მსჯელობენ მენშევიკები.

ცხოვრებამ დაამსხვრია სოციალიზმის დამყარების მენშევიკური სქემა.


2

საბჭოთა კავშირის მუშებმა, რომლებმაც მშრომელ გლეხობასთან ერთად გარეკეს გარედან თავდამსხმელები და გააცამტვერეს შინაური კონტრ-რევოლიუცია, დაამტკიცეს, რომ მათ შეუძლიათ გამარჯვება არა მარტო სამოქალაქო ომის ფრონტებზე, არამედ მშენებლობის ფრონტზეც. შედარებით მოკლე დროის განმავლობაში მ უ შ ა თ ა კლასმა არა თუ აღადგინა დაიგრეული მრეწველობა, არამედ მრეწველობის ზოგიერთ დარგებში ომის წინადროინდელ დონესაც კი გაუსწრო.

მაგრამ ეს არ არის საკმაო.


3

ეს ცოტაა ქვეყნისთვის, რომლის მუშები აშენებენ სოციალიზმს. გარდა იმისა, რომ ჩვენ საკუთარი ფაბრიკა-ქარხნების პროდუქციით უნდა დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილებები ყველა საგნებზე, ჩვენ სოციალისტურ საფუძვლებზე უნდა გარდავქმნათ სასოფლო მეურნეობა. ამისათვის საჭიროა მრავალი ათეული ათასი ტრაქტორი, გუთანი, სასოფლო სამეურნეო იარაღ-მანქანა, რომლის გარეშე შეუძლებელია სასოფლო მეურნეობის მოსავლიანობის გადიდება, სას.-სამ. პროდუქციის გაიაფება და კოლექტივიზაციის მტკიცე ნიადაგზე დაყენება. სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის საჭირო იარაღ-მანქანებიც ჩვენმა ფაბრიკა-ქარხნებმა უნდა მოგვცეს. ჩვენ უნდა დავეწიოთ და გაუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს,—ასეთია პარტიისა და ხელისუფლების ლოზუნგი.

ამ მხრივ მიმდინარე სამეურნეო წელი მნიშვნელოვანი მიჯნაა იმ გრანდიოზულ მშენებლობაში, რომელიც საბჭოთა კავშირის თვალუწვდენელ სივრცეზე სწარმოებს.

ამ წლიდან იწყება სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის განხორციელება, გიგანტური მშენებლობა, რომლის ტემპი გაცილებით სწრაფია, ვიდრე იმ მშენებლობის, რომელიც კაპიტალისტურ სახელმწიფოებში მიმდინარეობს.

ხალასი ციფრებიც კი ცხადყოფენ მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის მთელ გრანდიოზულობას:

1928-29 წლიდან 1932-33 წლამდე სახალხო მეურნეობაში დაბანდებული იქნება 64.600.000.000 მანეთი. მრეწველობის პროდუქციის ღირებულება, რომელიც 1927-28 წ. 18.300,000.000 მანეთს შეადგენდა, 1932-33 წლისათვის 43.200.000.000 მანეთამდე გაიზრდება, სასოფლო მეურნეობისა კი—16,600,000,000 მანეთიდან (1927-28 წ.)—25.800.000.000 მანეთამდე (1932-33 წ.).

ასეთია მშრალი ციფრები.

ჩვენ იმდენათ შევეჩვიეთ ახალი ფაბრიკა-ქარხნების აგებას, რომ ერთი შეხედვით ძნელად თუ წარმოვიდგენთ, რას ნიშნავს ეს ციფრები. ჩვენში ჩამოსული უცხოელები, რომლებსაც საზღვარგარეთულ ბორიკანა გაზეთების „საკუთარი კორესპონდენტები“ ჩასჩიჩინებენ, რომ საბჭოთა კავშირი ინგრევა, გაოცებული რჩებიან საბჭოთა კავშირში წარმოებული აღმშენებლობით. ჩვენ კი, ამ დიადი სოციალისტური მშენებლობის უშუალო მონაწილენი თითქო ვერ ვგრძნობთ ამ აღმშენებლობის მთელ გრანდიოზულობას და სილამაზეს ისეთი სიძლიერით, როგორითაც უნდა ვგრძნობდეთ მას.

უსათუოდ მინუსს წარმოადგენს ეს მოვლენა. ჩვენ ფართედ უნდა გავაცნოთ მშრომელ მასებს ყველა ჩვენი მიღწევები. ქართველი მუშა და გლეხი უნდა იცნობდეს მიღწევებს, რომლითაც ამაყობს რუსეთის ან უზბეკისტანის მუშა და გლეხი და პირიქით. ეს გაათკეცებს და გაასკეცებს მშენებელთა ენერგიას.

მაგრამ იოლად როდი ვიპოვებთ ჩვენს წარმატებებს. მრავალი სიძნელეები არის ჩვენს წინაშე. რაც უფრო ძლიერდება სოციალისტური მშენებლობა, იმდენათ უფრო აძლიერებენ წინააღმდეგობას ჩვენდამი მტრულად განწყობილი ელემენტები სოფლად და ქალაქად. სოფლად—კულაკი, ქალაქში—ნეპმანი, ბიუროკრატი, მავნებელი,—ყველა ამათ ჩუმი ბლოკი აქვთ შეკრული, რომ დააბრკოლონ საბჭოთა კავშირის მშრომელთა მტკიცე სვლა სოციალიზმისაკენ.


4 5 6







კაპიტალისტური ელემენტების დაძლევას სოფლად და ქალაქად და საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნი გეგმის წარმატებით განხორციელებას პროლეტარიატი შესძლებს მხოლოდ მთელი თავისი ენერგიის, ძალებისა და ენტუზიაზმის მობილიზაციით, ისე როგორც ეს იყო სამოქალაქო ომის ხანებში.

პარტიისა და ხელისუფლების მოწოდებაზე პროდუქციის თვითღირებულების 7 პროცენტით დაკლებისა და შრომის ნაყოფიერების 17 პროცენტით გადიდების შესახებ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა ერთსულოვნათ უპასუხა:

მზად ვართ!

და დაიწყო გრანდიოზული სოციალისტური შეჯიბრება ფაბრიკა-ქარხნებს შორის, რომელიც თანდათან სცილდება მრეწველობის ფარგლებს: მასში თანდათან ებმება გლეხობა, კოოპერაცია, კულტურული დაწესებულებები, სამხედრო ნაწილები და სხვა. ყველას ვინც კი ჭეშმარიტად თვლის თავს საბჭოთა მოქალაქედ, თავისი წვლილი—აგური მიაქვს საბჭოთა კავშირის ახალი—სოციალისტური სახალხო მეურნეობის დიდი შენობის ასაგებად.

საბჭოთა კავშირის მთელი ეკონომიკის განვითარება სამოქალაქო ომის პერიოდის დამთავრების შემდეგ ამტკიცებს, რომ ჩვენ ვიზრდებით და ვვითარდებით უფრო ჩქარის ტემპით, ვიდრე კაპიტალისტური ქვეყნები.

ამხ. როზენტალს ჟურნალ „კომუნისტი ჩესკაია რევოლიუცია“-ს № 1 (1929 წ.) მეტად საინტერესო ციფრები მოჰ-ავს ამის საილუსტრაციოდ:

უკანასკნელ 14 წლის განმავლობაში (1913—1927 წ.წ.) სამრეწველო პროდუქცია 4 სახელმწიფოში შემდეგნაირად გაიზარდა (1913 წ. ითვლება 100-დე):

| | 1913 | 1927 |
|---|---|---|
| შეერთებული შტატები | | |
| მომპოვებელი მრეწველობის საერთო პროდუქცია | 100 | 159,3 |
| დამმუშავებელი მრეწ. საერთო პროდუქცია | 100 | 138,6 |
| ინგლისი | | |
| მრეწველობის საერთო პროდუქცია | 100 | 99,7 |
| გერმანია | | |
| მომპ. მრეწვ. საერთო პროდუქც. | 100 | 133,3 |
| დამ. " " " | 100 | 87,7 |
| საფრანგეთი | | |
| მრეწვ. საერთო პროდუქცია | 100 | 124,1 |

ეს ციფრები ამტკიცებენ, რომ ტეხნიკურად, ფინანსიურად და გამოცდილებით ჩვენზე წინ მყოფ კაპიტალისტურ ქვეყნების პროდუქციის საშუალო წლიური ზრდა 4,2% არ აღემატება. ჩვენი ხუთწლიანი გეგმით კი ეს ზრდა 22% ფარგლებშია გამოანგარიშებული.

ამრიგად, ჩვენი სამეურნეო განვითარების ტემპი უკვე სჭარბობს კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების ტემპს საჭიროა ჩვენი მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის ხვედრითი წონა იმდენად გავზარდოთ, რომ უახლოესი წლების განმავლობაში გაუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს.






## საწნეო აუზის მოწყობა ქუთაისის აბრეშუმის ძაფ-სახვევ ფაბრიკაში.

საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების შეგნება და ენტუზიაზმი თავდებია იმის, რომ ჩვენ ამ ამოცანის გადაჭრას შევსძლებთ.

ჯერ კიდევ რამდენ მე თვეა მხოლოდ, რაც ლენინური კომკავშირის თაოსნობით დაიწყო სოციალისტური შეჯიბრება—მასების ფართე მოძრაობა სოციალისტური მშენებლობის წარმატების და ხუთწლიანი გეგმის განხორციელების უზრუნველსაყოფად და ჩვენ უკვე ვართ მოწამე მნიშვნელოვანი მიღწევების. ყველა საწარმოებში, რომლებიც სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ, საგრძნობათ შემცირდა უვარგისი პროდუქციის რაოდენობა, გაუმჯობე და ნაწარმოების ხარისხი, შემცირდა მისი თვითღირებულება, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და სხვა.

სოციალისტური შეჯიბრება ფართოვდება მასში ებმებიან მშრომელთა ახალი ფენები. შეჯიბრება სცილდება სამეურნეო ფარგლებს იგი ვრცელდება ცხოვრების კულტურულ, ყოფა - ცხოვრების მხარეებზე, იქცევა მძლავრ მოძრაობად ახალი ცხოვრებისათვის, რომლის ქვაკუთხედია სოციალისტური მეურნეობა. მასების ეს მოძრაობა თავდებია, რომ ჩვენ დავეწევით და გაუსწრებთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, მივაღწევთ საბოლოო მიზანს

**ნ. მ—ძე.**






1) თბილისის სპილენძის სატკეცი ქარხანა. სპილენძის მადნის გადმოტვირთვა, 2) ნავთის სინდიკატის ნავთსაჭაჩი სად გური ბათომში, 3) ქუთაისის ბარიტის ქარხანა, მექანიკური ელევატორი და წისქვილი, 4) 4, 5 და 6 — ხის დამმუშავებელი ქარხნის, სპილენძის სატკეცი ქარხნის და 26 კომუნარის სახელობის ქარხნის (თბილისი) სოციალისტური შეჯიბრების ჩამტარებელი კომისიები, 7) დიზელის დადგმა ნავთის სინდიკატის ქარხანაში, ბათომში, 8) ქუთაისის მესამე საგრენაჟო სადგურის ახალი შენობა, 9, ქუთაისის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა, 10) თბილისის სპილენძის სატკეც ქარხანაში მუშაობის დროს, 11) რიონჰესი, ჯებირის აგება სანახევროდ დამთავრებულია.

# გერმანიის პროლეტარიატის წითელი არმია













მოსკოვის კულტურისა და დასვენების პარკი

# ქალაქი კლდეში

## ე. ხუციშვილი

მოჰქუხს მღვრიე მტკვარი და მოაგორებს ტალღებს.

ვიწრო ბილიკზე, რომელიც მიჰყვება მტკვრის მარცხენა ნაპირს, სახიფათოა სიარული. ზოგ ადგილას ბილიკი იკარგება და ჩვენც, მე და ჩემ თანამგზავრს ფოტო-აპარატით, დიდის წვალებით გვიხდება გზის გაკვლევა.

ადიდებულმა მტკვარმა გააფუჭა ბორანი, რომელიც სოფ. უფლისციხეს აერთებდა რკინის გზის სადგურთან და მათ, ვისაც სურს კლდოვანი ქალაქის, ძველი უფლისციხის ნახვა, უნდა იმგზავროს სად. გრაკლიდან და გაიაროს ათიოდე კილომეტრი გზა.

ეს გზა მაინც და მაინც არ არის სახარბიელო: სიარული გვიხდება მოტიტვლებული მთის ფერდობზე: არც ხე, არც ჩრდილი, არც წყარო.



ბინა კლდეში, რომელშიაც ითვლება 9 ოთახი.

ფოტო-შ. ფურცხვანიძის



კლდოვანი ქალაქი უფლისციხე.

ფოტო-შ. ფურცხვანიძის

გზა და გზა გვხვდება სეტყვისაგან მთლიანად განადგურებული ყანები, რომელსაც თავს დასტრიალებენ თვალცრემლიანი უფლისციხელი გლეხები.

— ამოდენა შრომამ და ოფლმა ტყუილად ჩაგვიარა. სეტყვამ სულ გაანადგურა მთელი წლის სარჩო. თუ მთავრობა არ დაგვეხმარა, შიმშილით ამოიხოცება მთელი სოფელი,—ამბობენ გულდაწყვეტით გლეხები.

უახლოვდებით ძველ უფლისციხეს.

ბუნება იცვლება. მტკვრის ნაპირას, დაბლობზე გაშენებულია ბაღ-ვენახები. ხევით მოსჩანს ვეებერთელა კლდე, რომელიც დაჰყურებს მდინარე მტკვარს და რომელშიაც გამოკვეთილია ქალაქი.

ის, ვისაც უმოგზაურია რკინის გზით თბილისიდან ბათომამდე, უეჭველად შეამჩნევდა სად. უფლისციხის გასწვრივ ხვრელებს და გამოქვაბულებს კლდეში.

აი ეს გამოქვაბულები წარმოადგენენ უძველეს კლდოვან ქალაქს—უფლისციხეს, რომელსაც თავისი სიდიადით ეხლაც განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი.

ძველ ქალაქში შესვლა შეიძლება მდ. მტკვრის მხრიდან, სამხრეთით, ვიწრო ქუჩით. ქუჩა გამოკვეთილია კლდეში. შუა ქუჩაში, კლდეში, გათხრილია რუ წვიმის წყლისათვის.

ქალაქი ოდესღაც შემოზღუდული ყოფილა მაგარი ქვითკირის გალავანით, რომელიც ამჟამად აღარ არსებობს. დროთა განმავლობაში იგი დანგრეულა. მხოლოდ რამოდენიმე ადგილას შენახულა ამ გალავანის ნანგრევები.

მიჰყვები ვიწრო ქუჩას, რომელსაც მარცხნივ და მარჯვნივ დაჰყურებენ კლდეები. რამოდენიმე მისახვევ-მოსახვევი და შედიხარ ქალაქში.

მთავარი ქუჩა იყოფა უფრო ვიწრო ბილიკებათ, რომლებიც მიიმართებიან სხვადასხვა მიმართულებით ქალაქის სხვადასხვა უბნებში.

თვით ქალაქი უფლისციხე გაშენებულია ტერასებათ, რომლებიც დაჰყურებენ ერთი მეორეს და შეერთებულნი არიან ერთი მეორესთან ქუჩებით და კიბეებით. ქუჩები და კიბეები დღევანდლამდე შენახულან საუკეთესოდ.

ქვედა ტერასაში ყურადღებას იპყრობს კლდეში გამოკვეთილი ბინა, რომელშიაც ითვლება 9 ოთახი. ამ ბინის გამოკვეთის დროს დაცული ყოფილა სასტიკი სიმეტრია. შუა ოთახის ჭერი ლამაზად არის მოჩუქურთმებული საუცხოვო ორნამენტებით. კედლებიც ოდესღაც ყოფილა დაფარული ორნამენტებით. ამ ოთახიდან კარებს მივყევართ მეორე ოთახში. აქ ყურადღებას იპყრობს იატაკში ამოთხრილი ოთხკუთხი ორმო, აქ, ალბად, ყოფილა საბანაო აუზი, ოთახის კედლებში მრავლად არის თახჩები. სხვა დანარჩენი ოთახები გაკეთებულია უფრო სადად—აქ არ გვხვდება არც ჩუქურთმები, არც სხვა რაიმე მორთულობა. ყველა ოთახში არის თახჩები. ეტყობა, რომ ეს ოთახები, როგორც ამბობს ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი, გამოყენებული იყო საქონლის სადგომათ, ლოგინის და წყლის შესანახად და სხვა.

ამ ბინას ვათვალიერებთ დაწვრილებით, ვეცნობით ყოველივე ოთახს. გვიკვირს, თუ როგორ შესძლო ადამიანმა კლდეში გამოკვეთა ამოდენა ბინის და ისიც უხეშად კი არა, ლამაზად, ჩუქურთმებით.

ვტოვებთ ქვედა ტერასას და მივდივართ ზევით. გზაში გვხვდება მრავალი ოთახები შედარებით სადათ გამოკვეთილი. ზოგიერთი ოთახი და ხან მთელი ბინები და უბნები განადგურებული არიან დროთა ვითარების გამო. ქარს, წვიმას, ყინვას გაუნადგურებია კლდის ბინები.

ქუჩა უხვევს მარცხნივ. ერთი ნაბიჯი და ჩვენს წინ წამოიჭიმა საუცხოვო სასახლე. უყურებ და არა გჯერა თუ ამ კლდეში შეიძლება იხილო ასეთი სილამაზე. კლდეში გამოკვეთილია უზარმაზარი დარბაზი მაღალი ნიშებით, თაღებით. ამ დარბაზის ჭერი და კედლები და აგრეთვე სვეტები ოდესღაც დაფარული ყოფილა ჩუქურთმებით. ეს ჩუქურთმები შენახულია ეხლა მხოლოდ ალაგ-ალაგ.

დიდი დარბაზის გვერდით მრავლად არის ლამაზი ოთახები, რომლებიც უშუალოდ უერთდებიან დარბაზს. ჩრდილოეთით დარბაზიდან მიდის კიბე, რომელსაც მივყევართ მარანში. აქ შიგ კლდეში ჩასმულია რამოდენიმე თიხის ქვევრი. მარანი უერთდება ვიწრო ოთახს, რომელიც ალბად, წარმოადგენდა საკუჭნაოს. ამ ოთახში ოდესღაც ყოფილა ბუხარი.

ეს დარბაზი თავისი სიდიდით და სილამაზით დიდათ განსხვავდება ქალაქის დანარჩენ შენობებისაგან. დარბაზს, სხვათა შორის, ჭერში აქვს სანათური შუქისათვის.

ამ დარბაზის მახლობლად, სამხრეთით, მდებარეობს შედარებით პატარა შენობა, რომელიც ყურადღებას იპყრობს თავისი ჩუქურთმიანი სვეტებით. ეს შენობა ბნელია, რადგან შუქი შედის მხოლოდ კარების საშუალებით და იგი წააგავს ეკლესიას. შენობა თაღებიანია. თაღები დასვენებულია რამოდენიმე სვეტზე. ეს უკანასკნელები მორთული არიან საუცხოვო ჩუქურთმა-ორნამენტებით. ამ შენობის კედლებში გამოკვეთილია პატარა თახჩები.

ქალაქის შუა ტერასაში მნახველის ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება: ოდესღაც აქ ყოფილა ორსართულიანი შენობები. ამ შენობებიდან ჩვენამდი მოუღწევია მხოლოდ ერთს, დანარჩენი კი განადგურებულა დროთა მსვლელობაში.



ფოტო-შ. ფურცხვანიძის

სამეფო დარბაზის ერთი კუთხე

შუა ტერასიდან კიბის საშუალებით მივდივართ ზევით. მარჯვნივ და მარცხნივ გვხვდება მრავალი გამოქვაბულები სხვადასხვა ზომის. ზოგი გამოქვაბული პატარაა ერთი ან ორი კაცისათვის, ზოგი დიდია, რამოდენიმე ათეული კაცისათვის.

თვით გამოქვაბულების ნაგებობაც განსხვავდება ერთი მეორისაგან: ზოგი გამოქვაბული უბრალოდ არის გამოკვეთილი კლდეში, ზოგი კი მეტის გემოვნებით და სილამაზით.

მივაღწიეთ ზემო ტერასას, უკანასკნელს. ეს ტერასა გადაჰყურებს მთელ უფლისციხეს. ქა-



**ბინები კლდეში** ფოტო-**შ.** ფურცხვანიძის

ლაქი მოსჩანს, როგორც ხელის გულზე. აქედა შეიძლება დანახვა ქალაქის მთელი სივრცის. უფლისციხე მოზრდილი ქალაქია. იგი ალბად იტევდა რამოდენიმე ათას მცხოვრებს. ამასთან ერთად უფლისციხე, როგორც ციხე-სიმაგრე, აშენებულია საუკეთესო სტრატეგიულ ადგილზე, მთის კონცხზე და მიუვალია ყოველ მხრივ: სამხრეთით საზღვრავს მტკვარი, დასავლეთით ფრიალო კლდე, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით მაგარი კედელ .

დღესაც დაცულია უფლისციხის ჩრდილოეთი კედლის ნაწილი—მხოლოდ, კედლის იქით კიდევ ყოფილა ქალაქი, თუ დააკვირდებით კლდეს, რომელიც მიდის ჩრდილოეთით, დაინახავთ გამოქვაბულების, ქუჩების და კიბეების ნაშთებს. ეტყობა, რომ ოდესღაც აქაც ყოფილა მოსახლეობა და ქალაქი იჭრებოდა უფრო შორს, ჩრდილოეთის მიმართულებით.

უკანასკნელი ტერასა, როგორც მდებარ ყველაზე მაღალ ადგილას, შეუბრალებლად არის განადგურებული ბუნების მიერ. ქარს, წვიმას, ყინვას მრავალი საუკუნის განმავლობაში სავსებით გაუნადგურებია და წაულეკავს შენობები. დარჩენილა მხოლოდ ამ შენობების ნიშნები. აქ დაცულია მხოლოდ რამოდენიმე ოთახი, თაღებიანი, ჩუქურთმებით, რომლებშიაც შეიძლება შესვლა გვირაბის საშუალებით. ამ ოთახებიდან მოსჩანს მტკვრის მთელი ხეობა სურამამდე, თრიალეთის მთები, ქ. გორის ნაწილი და სოფელი უფლისციხე თავისი ნაგვიანი, უსუფთაო



ფოტო-**შ.** ფურცხვანიძის

**ციხის ჩრდილოეთი კედლის ნანგრევები.**

ქუჩებით, ძველებური ბანებით, მიწურის ახლებით.

***

რას ამბობს ისტორია უფლისციხის შესახებ?

უნდა ითქვას, რომ ისტორიაში არ არის ცნობები იმის შესახებ, თუ როდის ჩაეყარა საძირკველი უფლისციხეს, ვინ ააშენა იგი, რა როლს თამაშობდა იგი საქართველოს წარსულში.

ვახუშტის გეოგრაფიაში შემდეგი ცნობაა მოყვანილი უფლისციხის შესახებ: „აშურიანს ზეით არს უფლის-ციხე, რომელიც აღაშენა პირველად უფლოს, ძემან ქართლოსისამან, და იყო ქალაქი ჩინგისამდე. აწ არს შემუსვრილი არამედ შენობა უცხო, კლდისაგან გამოკვეთილი. პალატნი დიდ-დიდნი, ქანდაკებული კლდისაგანვე. გვირაბი ჩახვრეტით ჩაკაფული მტკვრამე, დიდი. დასავლით აქვს ქარაფი მაღალი და მას შინა გამოკვეთილნი ქვებნი მრავალ-დიდნი, არამედ აწ შეუალ არის.

გეოგრაფი ვახუშტი უფლისციხის აგებას მიაწერს ქართველთა ლეგენდარულ წინაპარის ქართლოსის ძ ე ს—უფლოსს. მაგრამ, უფლისციხის სახელწოდება აქედან არ წარმოსდება. უფლისციხე ნიშნავს არა უფლოსის ციხეს, არამედ უფლის, ბატონის ციხეს.

ისტორიულ წყაროებში უფლისციხე პირველად იხსენიება მე-4-ე საუკ. ჩვენს დრომდე ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობასთან დაკავშირებით.

დოცენტი ლ. მელიქსედ-ბეკოვი ამბობს, რომ უფლისციხე წარმოადგენდა აღმოსავლეთ საქართველოს სატახტო ქალაქს, როცა თბილისი და საქართველოს სამხრეთი პროვინციები მე-9 საუკუნეში დაიპყრეს არაბებმა.

მე-10-11 საუკუნეში უფლისციხე საქართველოს ისტორიაში თამაშობს განსაკუთრებულ როლს, როგორც ერთ-ერთი უძლიერესი ციხე-სიმაგრე. ამის შემდეგ ისტორია სდუმს და აღარ იხსენიებს უფლისციხეს. თვით ვახუშტი სწერს უფლისციხეზე „აწ არს შემუსვრილი" (ე. ი. განადგურებული, აოხრებული).

უფლისციხე ყოველთვის იპყრობდა ისტორიკოსების, არქეოლოგების და მოგზაურების ყურადღებას. მრავალი შრომაა დაწერილი უფლისციხის ირგვლივ, მაგრამ ჯერჯერობით მისი წარსული მოცულია ბნელით. არ არის შედგენილი ჯერჯერობით უფლისციხის დაწვრილებითი აღწერა, არ არის გამოკვლეული დარჩენილი ნაშთების მიხედვით უფლისციხის ნამდვილი წარსული, მისი სახე.

ფრანგი მეცნიერი დიუბუა დე მონპერიე დიდ ხანს სცხოვრობდა უფლისციხეში. მან დაწვრილებით შეისწავლა ეს ქალაქი და შეადგინა მისი აღწერა. ეს მეცნიერი ამბობს, რომ უფლისციხე აგებულია ქრისტეს ეპოქამდე, როდესაც საქართველოში ძლიერი იყო სპარსელების ან პართიანელების გავლენაო.

დიუბუას უფლისციხეში აღმოუჩენია ერთი წარწერა სპარსულ ენაზე, მაგრამ არ ამბობს, რომელ გამოქვაბულშია ეს წარწერა.

***

ძველი ქალაქი უფლისციხე ინგრევა.

ბუნება შეუბრალებლად ანადგურებს ისტორიის ამ შესანიშნავ ძეგლს.

მთლიანად განადგურებულია რამდენიმე ასეული გამოქვაბული. დაკარგულია საუკეთესო ჩუქურთმები, სვეტები, თაღები.

ნახევრად დანგრეულია ულამაზესი და ყველაზე ვრცელი სამეფო, დარბაზი.

საუკუნოდ დაკარგულია ორი სვეტი, რომლებიც იყვნენ აღმართულნი ამ დარბაზში

მალე დაინგრევა ეს დარბაზი. განადგურდება წვიმისა და ქარისაგან დარჩენილი ჩუქურთმები.

შეუძლებელია უფლისციხის ნგრევის შეჩერება. მაგრამ, სანამ ჯერ გვიან არ არის, საჭიროა უფლისციხის საფუძვლიანად შესწავლა, საჭიროა დარჩენილი ჩუქურთმების და ორნამენტების გადაღება და მათი დაცვა მომავლისათვის.

**ე. ხუციშვილი.**

# ექსკურსია ვარციხის სახალხო მამულში

**(წერილი ქუთაისიდან)**



**ექსკურსიის მონაწილენი.**

12 მაისს ქუთაისის მუსიკალური ტეხნიკუმის მოწაფეებმა ტეხნიკუმის გამგის ილიკო აბაშიძისა და ამავე ტეხნიკუმის საძირკვლის ჩამყრელ კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივაძის მონაწილეობით მოაწყვეს კულტურული ექსკურსია ვარციხის სახალხო მამულში, რომელიც ქუთაისიდან 11 კილომეტრითაა დაშორებული. ექსკურსიას თან ახლდა კომკავშირელ ახალგაზრდებისაგან შემდგარი ორკესტრი. დღისით ექსკურსანტები გაეცნენ მამულის მდგომარეობას, მუშების საცხოვრებელ და სამუშაო პირობებს. სალამოს მამულის კლუბში ამხ. ილიკო აბაშიძემ გააკეთა მოხსენება მუსიკალური კულტურის შესახებ საქართველოში და გააცნო დამსწრეთ ექსკურსიის მიზანი. შემდეგ გაიმართა საკონცერტო განყოფილება რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კომპოზიტორმა მელიტონ ბალანჩივაძემ, ი. აბაშიძემ, ს. ვერულაშვილმა, ნარიმანოვმა და სხვ. კომკავშირელთა ორკესტრმა შეასრულა სხვადასხვა მუსიკალური ნომრები. დამსწრე მუშები, გლეხები და მოჯამაგირეები დიდათ კმაყოფილი დარჩნენ და მხურვალე ოვაციები გაუმართეს ამ კულტურული ექსკურსიის მონაწილეთ.

**ი. ბუხაიძე.**

# საქართველოს ბუნება



გზა ცაგერიდან სვანეთისაკენ. მურის ხიდი.



გუროს ხეობა (ხევსურეთი)



ოსეთის სამხედრო გზა. ხიდისკარის ხიდი სოფ. წესთან (რაჭა)



ჭიათურის სამრეწველო რაიონი.



ზემო-სვანეთი.— სოფ. უშკული

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამოსწავლო წელიწადი თავდება

სანდრო თბილისელი

როგორც სჩანს ასეთია ჩვენი ბუნება. ზამთარში, როდესაც მიმდინარეობს რეგულიარული მეცადინეობა მუშფაკებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, ყველგან, სადაც კი შემოღებულია საგნების ჩათვლის სისტემა, ახალგაზრდობა არ იჩენს მაინცდამაინც განსაკუთრებულ ტემპერამენტს და არც განსაკუთრებულ აჩქარებას. მაგრამ, როგორც კი გამოჩნდება გაზაფხულის პირველი ნიშნები, როგორც კი დნობას იწყებს თოვლი, როგორც კი ოდნავ გაიშლებიან კვირტები, ძილს ბოლო ელება. ახალი გაზაფხულის ენერგიით აღსავსე ახალგაზრდობა უჯდება წიგნებს, ნახაზებს, რვეულებს. მეცადინეობის ამ „ციებ-ცხელებას" აქვს თავისი მამოძრავებელი ძალა, თავისი, საკმაოდ პროზაული იმპულსი — გამოცდა.

სქელმა ხავსმა დაფარა ძველი „ტანჯვის გზა", ძველი გამოცდების დრო. ეხლა გამოცდა მხოლოდ გავლილის ფაქტიური შემოწმებაა, მაგრამ ეხლაც ყველას, ვინც კი მეცადინეობასა და წიგნებშია ჩაფლული, მაინც არ შეიძლება ზოგჯერ არ გაუელვოს ფიქრმა:—რომ ჩავიჭრე?

***

მუდამ მღელვარე, აბობოქრებული უნივერსიტეტი ამ დღეებში განსაკუთრებით ნერვიული ცხოვრებით სცხოვრობს.

სტუდენტები ჯგუფჯგუფად დაგროვილან აუდიტორიებთან, დერეფნებში, არბიან და ჩამორბიან განიერ კიბეებზე და კითხულობენ, სწავლობენ, კითხულობენ.

ხელიდან ხელში გადადის დაგლეჯილი კონსპექტები, ლექციების სტენოგრაფიული ჩანაწერები, წიგნები ათასნაირი ფორმულებით,

სახელმწიფო უნივერსიტეტში ამჟამად გაჩაღებულია გამოცდები და კანცელარიის პატარა



პროფესორის კაბინეტის კარებთან

ფოტო-ა. კოგანის

საგამოცდო სია საგნების წიგნაკთან ერთად—ორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ერთმანეთთან განსაკუთრებით მჭიდროდ დაკავშირებული დოკუმენტია.

ქიმიური აუდიტორიის კარებთან სტუდენტების ჯგუფი ღელავს. იხრებიან და იცქირებიან კარის ჭუჭრუტანაში. უნდათ ოდნავ მაინც მოჰკრან თვალი, თუ როგორ ეკითხება პროფესორი. კარის ყოველ გაჭრიალებაზე, როგორც კი ვინმე გამოვა, მას გარს ეხვევიან და ყოველ მხრიდან ეკითხებიან:

— რა გკითხა?...

— „მაგრად" ეკითხება?..

— ჩააბარე?

უმრავლესობას ყველაფერი დასწავლილი და გამეორებული აქვს, მაგრამ მაინც თვითეულს არ ასვენებს ეჭვი—მართლა ვიცი? ნერვიულად ფურცლავს გვერდებს და იჩქარის იქვე, ხმაურო-



აბარებს ქიმიას

ფოტო-ა. კოგანის

ბაში, როგორმე ერთხელ კიდევ გადაათვალიეროს ჩასაბარებელი საგანი.

***

ბუნდოვანი, ზემოდან მომდინარე შუქით განათებული მუქი უფორმო თიხიდან ყალიბდება ფიგურა. ყალიბდება ნელა, ხანგრძლივი მუშაობის განმავლობაში, როდესაც ნატურისტის დაძაბული მუსკულატურა იწყებს მოდუნებას და როდესაც მისი თვალები გამოხატავს სრულ ფიზიკურ მოქანცვას.

პროფესორ ნიკოლაძის სკულპტურის კლასი ამთავრებს თავის უკანასკნელ ჩასათვლელ მუშაობას. კიდევ რამდენიმე დღე და პროფესურის სამსჯავროს წინაშე წარსდგება ყოველივე ის, რაც გაკეთებულა ერთი წლის თავგამოდებული მედგარი შრომით.

ესაა არა მარტო პროფ. ნიკოლაძესთან, ასეთივე ამბავია ე. ლანსერეს მხატვრობის კლასში და ლ. გუდიაშვილის კომპოზიციის კლასშიაც. ყველგან ჯამი უკეთდება გავლილ პრაქტიკულ მუშაობას.

ხის კედლებით გადატიხრულ დერეფანში დადიან შუბლშეჭმუხვნილი მომავალი მხატვრები. განსაკუთრებით დიდი ხმაურობაა ხუროთმოძღვრების განყოფილებაში.

ფლეტჩერისა და შუაზის ხუროთმოძღვრების ისტორია,—აი ის ზღუდე, რომელსაც თავს ატეხენ ახალგაზრდა ხუროთმოძღვრები. ქალაქში წიგნები არ იშოვება. ახალგაზრდობა იძულებულია ათასნაირი ხერხებით იშოვოს სადმე სანუკვარი ეკზემპლიარები და მთელი კლასი ერთად ემზადება გამოცდებისათვის ამ ორი-სამი „ფოლიანტით".

ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ ერთი „განთქმული" ქერა თმიანი ახალგაზრდის ირგვლივ დიდი წრე შეკრებილა. ეს ახალგაზრდა ყოველგვარი დამხმარე წიგნების გარეშე აპირებს საგნების ჩაბარებას.

***

გამოცდების ციებ-ცხელება მუშფაკის საერთო საცხოვრებელსაც მოედო. პატარა ოთახებს უკვე დიდი ხანია შეკეთება ესაჭიროება, მაგრამ თითონ მობინადრენი მთელი ძალღონით სცდილობენ დაფარონ კედლების არასასიამოვნო შეხედულება და რამდენადაც შესაძლებელია მიმზიდველი სახე მისცენ თავიანთ სადგომს.

რკინის საწოლს ზემოთ კედელს ამშვენებს ბელადების პორტრეტები და მახლობელ ნათესავების ორი-სამი სურათი. ეს არის 18 წლის ახალგაზრდა მუშფაკელის ქალის კუთხე. თუმცა ნუ უწოდებთ მას პატარას, ნუ აწყენინებთ მას, ახალგაზრდა ქალს იმდენი გადაუტანია, რამდენიც ყველა ხნიერ კაცსაც არ განუცდია.

პატარაობაშივე მოჯამაგირეობა სამხრეთოსეთის მიყრუებულ სოფელში; მძიმე მუშაობა და ხანგრძლივი, გამუდმებული შიმშილი.

ბავშმა შემთხვევით ისწავლა ანბანი, კითხულობდა წიგნების ნაგლეჯებს და ძველი გაზეთების ფურცლებს. ახალგაზრდა ქალი ისე გაიტაცა სწავლის სურვილმა, როგორც ლომონოსოვი. მას ამხანაგებმა ხუმრობით „კაბიანი ლომონოსოვი" უწოდეს.

მხოლოდ არაჩვეულებრივი ენერგიის წყალობით მოახერხა მან შესვლა მუშფაკში. იგი თითქმის შიმშილობდა, პირველ ორ წელს უსტიპენდიოთ იყო, და ეხლა კი კურსს ამთავრებს.

ოთახში ვიწროობა და შეხუთული ჰაერია. ახალგაზრდა მუშფაკელი ქალი თავის განუყრელ ჯგუფთან ერთად ბეჯითად იმეორებს და ითვისებს რთულ ტრიგონომეტრიულ ფორმულებს.

მაგალითი წამახალისებელია და თავის მშობლიურ კუთხეში ჩასვლის შემდეგ ახალგაზრდა ოსის ქალმა ორი თავისი მეგობარი კიდევ ჩამოიყვანა მუშფაკში.

ასე თითქმის წერა-კითხვის უცოდინარნი მედგრად, ენერგიულად ეტანებოდნენ ცოდნას და მოითხოვდნენ კულტურულ ცხოვრებაში ჩაბმის უფლებას.

— ალფა კუთხის სინუსი.

რა უყოთ, რომ გარეთ მზე კაშკაშებს, როდ



ჩინებულათ ჩააბარა

ფოტო-ა. კოგანის

არემარეს აყვავებული ვაშლის ხის სურნელება ეფინება... ეხლა ამისთვის ვის სცალია. თავში ტრიალებს მხოლოდ ალფა კუთხის სინუსი.

***

ჩვენში საბინაო კრიზისია. სახლდებიან ყველა მიყრუებულ კუთხეში, ბინად იყენებენ ყოველ თუნდაც უვარგის შენობას. განსაკუთრებით ახალგაზრდობა, რომელნიც მეცნიერებას ითვისებს და უმნიშვნელო სტიპენდიით სცხოვრობს, არ კარგავს არც ერთ ოთახს, ისეთსაც კი, რომელსაც მხოლოდ სამი კედელი აქვს.

საზურთალოს ერთ-ერთ პატარა, წაფერდებულ სახლში ბედმა მეზობლად შეჰყარა სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი და ორი მოწაფე—მომღერალი. მომღერლები საუცხოვოდ შეეწყვნენ ერთმანეთს, მაგრამ რა დღეში იქნებოდა მომავალი ექიმი, რომელსაც მხოლოდ ფანერის სიფრიფანა კედელი აშორებდა მომღერლებისგან.

დადგა გაზაფხული და სამივეს მოუტანა ერთი და იგივე საზრუნავი—გამოცდებისათვის მზედება.

დილიდან საღამომდე მ ო მ ღ ე რ ლ ე ბ ი



ფოტო-ა. კოგანის

**იმეორებენ**

ავარჯიშებდნენ თავიანთ ხმას და იღებდნენ დაბალ და მაღალ ოქტავებს.

ყოველ მოთმინებას აქვს საზღვარი.

ლა-დიეზი იყო ნოტა, რომელმაც კულმინაციური როლი ითამაშა მომავალი ესკულაპის მოთმინებისათვის.

ლა-დიეზი იყო ნოტა, რომელიც რიჟრაჟიდანვე მიარბენინებდა მას მინდორში, სასაფლაოზე, თუნდაც ეშმაკთან, ოღონდ შორს ამ საშინელ კონსერვატორიელებისაგან.

* *

კონსერვატორიაში და უნივერსიტეტში, მუშფაკში და აკადემიაში—ყველგან ერთმანეთს სცვლის ორნაირი განწყობილება: სიხარული ჩათვლის კარგად ჩაბარების გამო და „დაღრეჯილობა" დროებითი დამარცხების—გამოცდაში ჩაჭრის გამო.



ფოტო-ა. კოგანის

**პროფ. ნიკოლაძის კლასში**

ორივე ეს განწყობილება გამომდინარეობს ახალგაზრდა ძალებისაგან, ახალი, ნათელი ცხოვრების მომავალ მშენებლებისაგან.

შეიძლება გაჭირვებითაც, მაგრამ ახალგაზრდები მაინც იკაფავენ გზას სანუკვარი მიზნისაკენ—გახდნენ კულტურულ, მცოდნე, საზოგადოებრივად სასარგებლო ადამიანებად.

იზრდება საბჭოთა სპეციალისტების კადრი.

იზრდება და მაგრდება.

გამარჯვება სწავლის ფრონტზე დიდი გამარჯვებაა და ამ გამარჯვებისაკენ მტკიცე ნაბიჯით მიიწევს ჩვენი ახალგაზრდობა.

**ს. თბილისელი.**

# საბავშვო ბაგა

## ა/კ. ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო სამმართველოსთან

### (თბილისი)

საბჭოთა კავშირში უდიდესი ყურადღება აქვს მიქცეული დედათა და ბავშვთა დაცვის საქმეს. მოწყობილია კონსულტაციები, სადაც დედები სწავლობენ ბავშვების მოვლა-პატრონობას, არის საბავშვო ბაღები, სადაც პატარა ბავშვები სკოლის ასაკამდე იზრდებიან. მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დედებისა და ბავშვთა დაცვის დაწესებულებაში არის საბავშვო ბაგა. საბავშვო ბაგა საშუალებას აძლევს მუშა-მოსამსახურე დედებს თავის უფლად შეასრულონ თავიანთი სამუშაო ისე, რომ მუშაობის დროის განმავლობაში ისინი არ შეაწუხოს პაწაწების მოვლამ. დედა ბავშს ტოვებს საიმედო ადგილას, მზრუნველი თვალი და ხელი თავს დასტრიალებს მას. აი, ამიტომ საბავშვო ბაგებს უნდა მიექცეს დიდი ყურადღება. დაწესებულება, რომელთანაც არსებობს ბაგა, უნდა ზრუნავდეს მას-



**ბავშვებს ჰბანენ**



**თამაშობენ**

ზე. ბავშვებს უნდა კარგი მომვლელი, ექიმი უნდა მოდიოდეს თავის დროზე, უნდა იყოს დაცული ზედმიწევნითი სისუფთავე და, რაც მთავარია თავის დროზე უნდა იქნეს მიღებული ზომები სურსათ-სანოვაგის მისაწოდებლად. ამ მხრივ თითქმის სანიმუშოა პატარა საბავშვო ბაგა, რომელიც არსებობს ა/კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო სამმართველოსთან. ეს ბაგა დაარსებულია ოქტომბრის რევოლიუციის 10 წ. თავზე.

ბაგაში სულ არის 12 ბავშის ადგილი. მუშა-მოსამსახურე დედებს საშუალება აქვთ ბავშისათვის ორ თვიდან 4 წლამდე ისარგებლონ საბავშვო ბაგით. დილით სამსახურში წამოსვლისას დედას თავისი ბავში მიყავს თან. მიიყვანს საბავშვო ბაგაში, სტოვებს იქ და თვითონ კი მიდის სამუშაოზე.



**საუზმეზე**

მომვლელი ქალი ბავშს იმ წამსვე ხდის ტანსაცმელს და აცვამს ბაგის სუფთა თეთრეულს.

ბაგაში სულ ოთხი ოთახია: ერთი სასადილო, ორი საწოლი: ერთი სულ პატარეებისათვის, მეორე კი მოზრდილთათვის და მეოთხე—საბანაო.

დილის 7 ს. 30 წუთიდან 9 საათამდე სწარმოებს ბავშვების მიღება. 9 საათიდან თერთმეტის ნახევრამდე ბავშვები თამაშობენ. თერთმეტის ნახევრიდან 11 საათამდე ბავშვებს ეძლევა პირველი საუზმე. თორმეტის ნახევრიდან 12 საათამდე ბავშვებს ჰბანენ. ამის შემდეგ ორის ნახევრამდე ბავშვებს სძინავთ. გამოღვიძების შემდეგ ბავშვებს აძლევენ მეორე საუზმეს. 2 საათიდან სამ-ნახევარ საათამდე პატარები თამაშობენ, ხოლო მოზრდილნი „მეცადინეობენ".



**სძინავთ**

4 საათზე დედა სამსახურიდან ბრუნდება და ბავში მიყავს თან. ძუძუმწოვარა ბავშვების დედები ბავშვებისათვის ძუძუს მისაცემად სამსახურიდან თავისუფლდებიან განსაზღვრულ დროით.

საერთოდ ბაგის მუშაობა დამაკმაყოფილებელია. ამ მხრივ ყველა დედები კმაყოფილებას გამოსთქვამენ.

თბილისის ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებაც არა ნაკლებ ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოსი ზრუნავს ბაგაზე. ბინის შეკეთება, თანამშრომელთა ჯამაგირი, შეშა და გა-



**სახლში ბრუნდებიან**

ნათება—ეს მას აქვს ნაკისრები, მომავლისათვის ფიქრობენ ბაგის გაფართოებას, რადგან მოთხოვნილება დიდია. დღეს 12 ბავშის ნაცვლად ბაგა ინახავს 17 ბავშს. მუშაობას ხელს უშლის მხოლოდ და მხოლოდ ოთახების სივიწროვე. ბაგის მუშაკები იმედოვნებენ, რომ სამმართველო და თბილისის ჯანმრთელობის განყოფილება ეცდება უფრო გააფართოვოს ბაგა.

**შ. ფ.**

# საქართველოს სამხატვრო გალერეია

ე. გ.

შენობას, რომელიც მდებარეობს შრომის სასახლის გვერდით, ჰქვიან საქართველოს სამხატვრო გალერეია.

ამ გალერეიას საძირკველი ჩაეყარა 1920 წელს.

პირველ ხანებში გალერეია ღარიბი იყო ექსპონატებით. შემდეგში, თანდათანობით, გალერეიამ შეიძინა მრავალი ძვირფასი სურათი, ნივთები, მინიატიურები და დღეს გალერეია წარმოადგენს უძვირფასეს დაწესებულებას საქართველოში.

გალერეიაში უპირველ ყოვლისა ყურადღებას იპყრობს მხატვრული ბიბლიოთეკა, რომელიც დიდ სამსახურს უწევს ჩვენს სტუდენტობას, თეატრებს და კინო-საქმეს.

ამ ბიბლიოთეკაში ითვლება 5000-მდე ტომი.

ბიბლიოთეკა თანდათანობით იზრდება, ემატება წიგნები ხელოვნების დარგიდან და მალე იგი დაიჭერს თვალსაჩინო ადგილს მთელს საბჭოთა კავშირში.

სამხატვრო გალერეიაში ბიბლიოთეკასთან ერთად არის შვიდი განყოფილება—დარბაზი.

პირველი დარბაზი უკავია სპარსულ მხატვრობას. სამ დარბაზს სურათების მიხედვით უჭირავს პირველი ადგილი მთელ მსოფლიოში. ამ დარბაზში დაცულია 300-მდე ექსპონატი და მინიატიურები, რომლებსაც აქვთ მსოფლიო მნიშვნელობა.

სპარსული მხატვრობის გარდა აქ არის მე-6-ე საუკუნის ჩინური მხატვრობის ნიმუშები და 50 ცალი ჩინური ხელობის მინიატიურა.



სამხატვრო გალერეის შენობა (რუსთაველის პრ., თბილისი)

სპარსულ დარბაზის გვერდით, მეორე დარბაზში, გამოფენილია ძველი ქართული მხატვრობის ნიმუშები.

უმთავრესად აქ არის წარმოდგენილი მე-13—14 საუკუნოების საეკლესიო მხატვრობა და პორტრეტები. პორტრეტული მხატვრობა ეკუთვნის მე-18 საუკუნის ბოლოს და მე-19 საუკუნის დასაწყისს.



სპარსული მხატვრობის კუთხე

ამ დარბაზშიაც მრავლად არის ძვირფასი სურათები და ქართული ძველი ხელოვნების ნიმუშები.

ალსანიშნავია, რომ პორტრეტებს არა აქვთ ავტორის წარწერები, გარდა ერთისა. ეს პორტრეტი ეკუთვნის მხატვარს გიორგი მაისურაძეს, რომლის ვინაობა ჯერჯერობით არ არის გამორკვეული.

ამ დარბაზის საეკლესიო მხატვრობა გადმოღებულია უბისის ძველი ეკლესიიდან (მე-13-14 საუკუნის) და მას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ძველი მხატვრობის შესწავლისათვის.

პორტრეტებიდან ყურადღებას იპყრობს მიტროპოლიტ ბოდბელის პორტრეტი, რომელსაც თავისი სიმშვენიერით და ფერებით განცვიფრებაში მოჰყავს ყველა ქვეყნის მხატვრები.

გალერეიას უკანასკნელი მარჯვენა დარბაზი დათმობილი აქვს თანამედროვე ქართულ მხატვრობას.

გალერეის დირექტორის მხატვარ შევარდნაძის სიტყვით ეს დარბაზი არის ყველაზე ღარიბი. გალერეიამ, უსაღსრობის გამო, დღემდე ვერ შესძლო ჩვენი მხატვრების სურათების შეძენა, რაც წარმოადგენს დიდ დეფექტს გალერეის საქმიანობაში.

ამ დარბაზში თავმოყრილია მხოლოდ 12 ქართული მხატვარის ნამუშევარი.

გალერეის მარცხენა მხარე დათმობილი აქვს რუსეთის და ევროპიულ (ძველ) მხატვრობას.

პირველ დარბაზში მოთავსებულია ჰოლანდიური, ფლამანდიური და გერმანული მხატვრობა.

სურათები ეკუთვნის მე-15-ე—მე-18 საუკუნეს. აქ გამოფენილია მრავალი უძვირფასესი სურათი, რომლებსაც აქვს მსოფლიო მნიშვნელობა, მაგალითად მხატვარ იაკობ ვეისდაილის ცნობილი პეიზაჟი.

მენშევიკებმა საქართველოდან გაქცევის წინ წაილეს ამ დარბაზიდან 17 სურათი, მათ შორის რემბრანტის ერთი სურათი, რომელიც შეფასებულია ერთ მილიონ მანეთად.

შემდეგ დარბაზში წარმოდგენილია იტალიის და საფრანგეთის მე-15-ე—მე-19-ე საუკუნის მხატვრობა. აქაც ბევრი ძვირფასი ექსპონატია, შესრულებული ცნობილი მხატვრების მიერ.

უკანასკნელი დარბაზი უკავია რუსულ მხატრობას (ძველს და ახალს). ამ დარგში დაცულია მე-18-ე და მე-19-ე საუკუნის რუსული მხატვრობის ნიმუშები. სხვათა შორის აქ არის ცნობილ მხატვარ აივაზოვსკის ორი დიდი სურათი.

* * *

სამხატვრო გალერეის მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ აქ დაგროვილი სურათები წარმოადგენენ ორიგინალებს, გალერეიას არა აქვს ასლები.

უდავოა ის გარემოება, რომ სამხატვრო გალერეიას აქვს უდიდესი მნიშვნელობა საქართველოს ხელოვნებისათვის.

საქართველოს სამხატვრო გალერეიაში დაცულია სახვითი ხელოვნების იშვიათი ნიმუშები, რომლებსაც აქვთ მსოფლიო მნიშვნელობა. ეს ნიმუშები ეკუთვნიან უძველეს ხანას.

მაგრამ, სამხატვრო გალერეიას არა აქვს შესაძლებლობა ბინისა და საღსრების უქონლობის გამო გამოფინოს ყველა ძვირფასი სურათი და მინიატიურები.

უსაღსრობის გამო გალერეიას ვერ შეუძენია ვიტრინები მინიატიურებისათვის და მრავალი ძვირფასი მინიატიურა ინახება ყუთებში და მაგიდის უჯრებში.

სამხატვრო გალერეის შენობა იმდენად პატარაა, რომ იგი ძლივს იტევს მხოლოდ არსებულ ექსპონატების მეათედ ნაწილს.

* * *

საქართველოს სამხატვრო გალერეიას სჭირდება გაფართოება. მაშინ, როდესაც სამხატვრო გალერეია მოთავსებული იქნება შესაფერ შენობაში, იგი უფრო გაფართოვდება. მას მიემატება მრავალი ძვირფასი სურათი და ნივთი, რომლებიც დღეს დღეობით გაფანტულნი არიან პროვინციებში.



ბიბლიოთეკაში

საქართველოს სამხატვრო გალერეიამ თავი უნდა მოუყაროს სახვითი ხელოვნების ყველა ნიმუშებს (ფრესკები, სურათები, მინიატიურები, ფაიფური, მინანქარი, მაიოლიკა). ეს გააადვილებს მათ შესწავლას, დაცვის საქმეს და მაშინ შესაძლებელი იქნება იქონიოს ადამიანმა წარმოდგენა იმაზე, თუ უძველეს დროიდან როგორ ვითარდებოდა ჩვენში სახვითი ხელოვნება.

ე. გ.

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა

## აგარაკი წყალტუბო



1) ახლად აგებული სასტუმრო, 2) ჯვრებით ნაჩვენებია რადიო-აქტიური წყაროები, რომლებიც დღე-ღამეში 96,000 ვედრო წყალს იძლევა, 3) მუშათა დასასვენებელი სახლი, 4) აბანო № 1, 5) კურორტთა სამმართველოს კანტორა, კოოპერატივი და სახელგამის კიოსკი, 6) მარცხნივ—ახლად აგებული აბანო ჩვეულებრივი წყალით, მარჯვნივ—ტალახის აბანო, სადაც იღებენ მზის ვანებსაც, 7) ყოველ ორ საათში მიდის ჩვეულებრივ ავადმყოფებით სავსე ავტობუსი.

---



სიღნაღის შვიდწლედის დახმარე საბჭოს წევრები—მშობლები და მასწავლებლები ტანსაცმელს ჰკერავენ ღარიბეს მოწაფეებისათვის



**აბასთუმანი.** ახალი (მესამე) სანატორიუმის ერთ-ერთი კორპუსი

**რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.** რედაქციის მისამართი—კამოს ქ. № 68

## უკანასკნელი იმედი



— მოქალაქევ! დაწესებულებაში ძაღლის შემოყვანა არ შეიძლება!

— უკაცრავათ; მაგრამ ეს მეძებარი ძაღლი გახლავთ და იქნებ ამან მაინც მომინახოს ჩემი საქმე!

## კმაყოფილია

— საშინელი კმაყოფილი ვარ გუშინდელი კრებით!

— როგორ!.. პირიქით ისეთი კრება იყო, რომ პირდაპირ ძილს მოგვრიდა კაცს!

— მეც მაგიტომ ვარ კმაყოფილი სწორედ, ძილი რომ მომგვარა, რადგან საშინელი უძილობა მაქვს.

## კარგი მკითხველი

— რა შესანიშნავია კოტეს მიერ დაწერილი რომანი!

— მაინც რა შინაარსისაა!

— შინაარსის რა მოგახსენო, ვერაფერი გავიგე!

## ბიუროკრატის აზრი

„ჩვენი განყოფილების გამგე უშტვინაძეა ბუღალტრად—ძმა ჰყავს, პირად მდივნად—სიძე".

**გაზეთებიდან**

— ზოგიერთ მუშკორს რომ მწარე ენა აქვს, თორემ ვის რა უნდა, თბილად და წყნარად მოკალათებულან, ბირჟა არ შეუწუხებიათ და კავშირი, არც მუშათა-გლეხთა ინსპექციის ჩარევას საჭიროებენ და შენ რომელი მეცამეტე გოჯი ხარ...

ა. ბ.

## სძულს პროტექცია!

— თუ კაცი ხარ მიიღე სამსახურში შენთან ის კაცი, ჩემი ბიძაშვილია, მოაწყვე როგორმე!

— სიმართლე გითხრა ძლიერ მეჯავრება პროტექცია და, შენ რომ არ მთხოვედე, არაფრით არ მივიღებდი ისე?

## კარგი კილო

— რა წესიერი და ცოლის მოყვარული კაცია სემიონ სტეპანიჩი!

— როგორ?

— აი მაგალითად ის თავის ცოლს ყოველთვის „თქვენობით" მიმართავს!

— ეგ იმიტომ ჩემო გიგო, რომ იმას სამი ცოლი ყავს!

## მიზანშეწონილი ცვლილება



— ქალო! რას გევხარ, ასეთი დახეული ტანისამოსი ჩაგიცვია!

— შრომის ბირჟაში მივალ, რეგისტრაციაში უნდა გავიარო!



— იფ! რა მშვენიერათ გამოპრანჭულხარ! ალბად სადმე დღეობაზე თუ მიხვალ?

— არა! გუშინ ბირჟიდან სამსახურში გამგზავნეს და დღეს გამგეს უნდა გამოვეცხადო!

## ფრთხილი მეეზოვე!

— ეი! მეეზოვევ! რატომ ელექტრონი არ ანთია ასეთ ბნელაში?

— იმიტომ მოქალაქევ, რომ ელექტრო ლამპებს იპარავენ, ამიტომ დაღამებისას მოვხსნი ხოლმე და სახლში ვინახავ!

## მუზეუმში



— მამა, რატომაა ეს ქვის კაცები ტიტვლები?

— იმიტომ შვილო, რომ ალბად მაშინაც ძნელი იყო მუშკოოპში ორდერის აღება!

## უკმაყოფილო!

— რა ქენი, გიგო, კარგათ ისვენებ ამ დასასვენებელ სახლში!

— ეჰ! რაღა ვისვენებ, ჩემო ძმაო, დღეში ათჯერ გვაჭმევენ!

## გასამართლებელი საბუთი

— რა ამბავია მთელი დაწესებულება სამიკიტნოში მოდიხართ!

— უკაცრავათ! ჩვენ საექსკურსიო მიზნით გიახლებით!

## ფეხსაცმელების მკერავთან

— საკვირველია პირდაპირ! ეს მეოთხეჯერაა თქვენ ჩემთან ფეხსაცმელი მოიტანეთ და ყოველთვის ცერებზეა გახეული, სხვაგან კი მთელი!

— რა ვქნა ამხანაგო! მორიდებული კაცი ვარ და დაწესებულებაში უფროსების წინაშე სულ ცერებით დავდივარ!

## გაუკრეჭავი ღვდლის აზრი

— კომუნისტებმა ბევრი რამ გადმოიღეს ქრისტეს მოძღვრებიდან.

— რა, მაგალითად?

— თუნდაც, მომჭირნეობის რეჟიმი. მომჭირნეობის რეჟიმი პირველად ქრისტემ შემოიღო,—მან ხუთი პურით ხუთი ათასი კაცი გააძღო...

ა. ბ.

მთავლიტი № 855. ტირაჟი 3.950 3/ტ მე-5-ე სტამბა. გაზ. „კომუნისტის" გამომცემლობა.

1/73

# კომუნისტი

## დიდი პოლიტიკური გაზეთი

### საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო

## ხელის მოწერის პირობები

**დამატების გარეშე გაზეთი ეღირება**

მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის

| | | |
|---|---|---|
| 1 | თვით | 1 მ. — კ. |
| 2 | „ | 2 „ — „ |
| 3 | „ | 2 „ 90 „ |
| 4 | „ | 3 „ 85 „ |
| 5 | „ | 4 „ 80 „ |
| 6 | „ | 5 „ 75 „ |

დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

| | | |
|---|---|---|
| 1 | თვით | 1 მ. 30 კ. |
| 2 | „ | 2 „ 60 „ |
| 3 | „ | 3 „ 80 „ |
| 4 | „ | 5 „ — „ |
| 5 | „ | 6 „ 25 „ |
| 6 | „ | 7 „ 55 „ |
| 7 | „ | 8 „ 80 „ |
| 8 | „ | 10 „ — „ |

**ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა მ ი ი ღ ე ბ ა**

ქუთაისში — „კომუნისტი“-ს განყოფილება
ოზურგეთში — კონტრაგენტ ინწკირველთან
ახალსენაკში — კონტრაგენტ ესებუასთან
სამტრედიაში — კონტრაგენტ გოგელიასთან
ჭიათურაში — კონტრაგენტ ჯალალანიასთან
ყვირილაში — კონტრაგენტ ცხომელიძესთან
შორაპანში — კონტროგენტ ჯალალანიასთან
გორში — კონტრაგენტ მაისურაძესთან
გურჯაანში — წიგნის მაღაზიაში.
სიღნაღში — კოხტრაგენტ მდივანოვთ. ნ
აბაშაში — კონტრაგენტ მიქაძესთან
ლანჩხუთში — კონტრაგენტ ღლონტთან

ბორჯომ-ბალში — კონტრაგენტ კობახიძესთან
ბორჯომში — კონტრაგენტ კობახიძესთან
ფოთში — ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში
ხონში — კონტრაგენტ გენძეხაძესთან
თელავში — კონტრაგენტ რევაზოვთან
ცხინვალში — კონტრაგენტ იარალოვთან
ბათომში — ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში
ხაშურში — კონტრაგენ ლორთქიფანიძესთან
ბაღდადში — კონტრაგენტ აბულაძეხთან
ო ნ შ ი — კონტრაგენტ ბერიშვილთან
ჭრებალოში — კონტრაგენტ პაიჭაძესთან

გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობის მთავარი კანტორა

თბილისი. რუსთაველის პრ. № 34.